სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 27 ივნისი 2006 №145 (2767) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

93! კანტალეხოს იტალია წამწამზე უზის



მარჩელო ლიპი სამარჩიელო კლიპამდე

120-წუთიანი აღარ დამთავრდა შოუ-კოვსკით დამთავრდა

უკრაინა მეოთხედფინალშია

ყაბულ, კლაუს ბეი

ტოპმიოლერს ამხანაგობაში კარგი სახელი აქვს

ურუგვაი, გერმანია, ახლა უკვე თურქეთიც... საფეხბურთო სამყაროში ამ გუნდებს ყველა პატივს სცემს და აფასებს. იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოს ნაკრების სპარინგ-მეტოქეთა ჩამონათვალი გაიზარდა და მსოფლიოს ჩემპიონებს, ურუგვაისა და გერმანიას თურქეთიც მიემატა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ყველა დეტალი შეათანხმა თურქ კოლეგებთან და მატჩის თარიღად 2007 წლის 7 თებერვალი დაითქვა.

ვერაფერს იტყვი, ასეთი მეტოქეების მოძიება საქართველოსთვის ყოველთვის პრობლემური ჩანდა, თუმც ახლა ვითარება შეიცვალა და ეს გუნდები ქართველებთან თამაშს აღარ თაკილობენ.

ფეხბურთის ფედერაციის თავკაცობას შრომას ნამდვილად არ ვუკარგავთ, თუმცა ამ საქმეში კლაუს ტოპმიოლერის ფაქტორიც რომ მნიშვნელოვანია, ცხადია.

მოკლედ, ახალ გზაზე შემდგარ საქართველოს ნაკრებს ახალი და საინტერესო თავგადასავლები ელის...

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მეოთხედფინალი

შვეიცარია 0:0(პენ.0:3) უკრაინა

№54. 26 ივნისი. 23.00. კიოლნი. „რაინენერგიშტადიონი". 45 000 მაყურებელი

პენალტები: 0:0 შევჩენკო (მეკარე), 0:0 შტრელერი (მეკარე), 0:1 მილევსკი, 0:1 ბარნეტა (ხარიხა), 0:2 რებროვი, 0:2 კაბანასი (მეკარე), 0:3 გუსევი

შეცვლა: ჯირუ – 13. გრიხტინგი (34), იაკინი – 11. შტრელერი (64), კალინიჩენკო – 21. როტანი (75), ვორობეი – 11. რებროვი (94), ვორონინი – 15. მილევსკი (111), ფრეი – 18. ლუსტრინელი (117)

გაფრთხილება: ბარნეტა (59)

მსაჯები: ბენიტო არჩუნდია; ხოსე რამირესი (მექსიკა), ექტორ ვერგარა (კანადა)

24	ჯარიმა	20
5	კუთხური	6
12	კარისკენ დარტყმა	10
6	კარში დარტყმა	2
0	თამაშგარე	1
55	ბურთის ფლობა პროცენტულად	45

უკრაინის პარლამენტში საქმეს აკეთებენ: ბლოხინს იმდენი აგინეს, მეოთხედფინალში გავიდნენ

AFP კოლონიდან

ანდრეი შევჩენკოს შეეძლო გამხდარიყო გმირიც და ანტიგმირიც.

ლონდონის „ჩელსის" სუპერმოიერიშეს ძირითად დროშივე შეეძლო დებიუტანტი უკრაინა მეოთხედფინალში გაეყვანა. პირველად მაშინ, როცა ფილიპ სენდეროსის არყოფნით დაობლებულ შვეიცარიელთა დაცვას დაუსხლტა და ჩაწოდებულ ბურთს გადაპარსული თავი მიაყოლა — ბურთი ძელს მოხვდა. მეორედ გატანა „შევას" მაშინ შეეძლო, როცა ლამის ლონდონიდან შეიპარა ცუბერბიულერის საკარიმოში და კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავითვე დაუცველ კარს მილიმეტრებით ააცილა. მესამედ კი უკრაინელთა ყოჩმა საჯარიმოს მისადგომებთან ორი შვეიცარიელი გააბითურა და მოხდენილად გაისროლა, მაგრამ ბურთმა გაშეშებულ მეკარეს და კარის ძელს ჩაუფრინა.

შეიძლებოდა შევჩენკო ანტიგმირიც გამხდარიყო და, „მილანის" ფანებისა არ იყოს, სამშობლოშიც გასჩენოდა მაგინებელი. თუმც გუშინ „შევას" არც ანტიგმირობა ეწერა და არც გმირობა. გმირი უკრაინელთა მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკი გახდა, ვინც პენალტების სერიაში შევჩენკოს უმარილოდ დარტყმული და გაფუჭებული პენალტი ორი თერთმეტმეტრიანის აღებით გამოასწორა, იქაც შვეიცარიელმა კაბანესმა ხარიხას გაარტყა ბურთი და...

უკრაინელთა მწვრთნელს ოლეგ ბლოხინს მსოფლიოს ჩემპიონატამდე ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა, აზრზე არ არის, როგორ ათამაშოს გუნდიო და ამისთანები. ოფიციალურადაც შეუტიეს, ან მწვრთნელი იყავი ან დეპუტატის მანდატი ჩააბარეო. ბლოხინმა კი ნაკრებში უხელფასოდ მუშაობის სანაცვლოდ დეპუტატობაც შეინარჩუნა და აგერ, უკრაინის დებიუტანტი გუნდი უპირველესი ტურნირის მეოთხედფინალშიც გაიყვანა. პენალტების სერიის შემდეგ კი ემოციაგამოცლილი ნიშადურით მოსაბრუნებელი გახდა.

ისე, გულქვა უნდა იყო, შვეიცარიელები და მათი ინტელიგენტი მწვრთნელი კობი კუნი არ შეგეცოდოს. რაც შეეძლოთ, ის გააკეთეს, იბრძოლეს, იომეს, კოჭებში უკრაინელებსაც ურტყეს და თვითონაც ბევრი ტკივილი ითმინეს. შოვკოვსკის ხარიხაც შეაზანზარეს და დამატებით დროში მთელი 90 წუთი რომ არ უქნიათ, ერთბაშად მოინდომეს, მაგრამ გუშინ მათი დღე არ იყო.

ისე, შვეიცარია ერთადერთი გუნდია, ვისაც ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე გოლი არ გაუშვია და ასევე დაასრულა ტურნირი.

სხვაფრივ, უღიმღამო და უმარილო 90 წუთის შემდეგ დამატებით დროში გამოცოცხლებული თამაში და საპენალტე დრამა მართლაც რომ პლეიოფური იყო...

შვეიცარია სახლში მიდის, უკრაინას კი იტალია ელის.

გაჩო სგანიძე

AFP კოლონიდან

ახალი გუსი გვინდა

AFP

ჟერარ ულიე

ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯონ ონილი უკვე ნაკრების ახალ მწვრთნელზე ფიქრობს. მოგეხსენებათ, გუს ჰიდინკი მუნდიალის მერე პოსტს დატოვებს და რუსეთის თავკაცი გახდება. ონილს კი მიაჩნია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე წარმატებით თამაშის შემდეგ ოზების გაწვრთნას უმაღლესი კლასის მწვრთნელები დაკბულდებიან.

ჯონ ონილი: „რამდენიმე მაღალი კლასის მწვრთნელს უკვე ვესაუბრე, რომლებიც, ვთქვათ ერთი წლის წინ ასე არ დაინტერესდებოდნენ. ეს მუნდიალი ჩვენთვის წარმატებული გამოდგა, დავამტკიცეთ, რომ ფეხბურთის კარგად თამაში შეგვიძლია. ახლა ახალი გუს ჰიდინკი გვჭირდება, რათა პროგრესირება არ შევწყვიტოთ.“

გავრცელებული ცნობით, ამჟამად ავსტრალიის თავკაცობის ორი რეალური კანდიდატია — ფრანგი ჟერარ ულიე და არგენტინელი კარლოს ბილარდო. ოზთა ფეხბურთის ფედერაციას სურს, რომ ახალმა მწვრთნელმა წელიწადის ნახევარი მაინც ავსტრალიაში გაატაროს, რათა იქაურ ჩემპიონატს და ფეხბურთელებს დააკვირდეს, ხოლო ადგილობრივ მწვრთნელებს კვალიფიკაცია აუმაღლოს.

„ვეცდებით, ისეთი მწვრთნელი შევარჩიოთ, რომელიც ყველაზე მეტად დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს და გრანდიოზულ ხელფასს არ მოითხოვს. გუსის შემცვლელისთვის ფეხბურთი ასევე მნიშვნელოვანი უნდა იყოს და ავსტრალიაში ცხოვრებისა თუ აქაური კულტურის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდეს. მან უნდა გამოიჩინოს ახალ საფეხურზე ჩვენი აყვანის სურვილი. არ გამოგვადგება სპეციალისტი, რომელიც სანახევროდ კარიერის დასრულებაზე ფიქრობს“ — დასძინა ონილმა.

კოკი კანდელაკი

AFP

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიროსლავ კლოზე და ლუკაშ პოდოლსკი

ფაქტის ფაქტი

პოლონეთი მეოთხედფინალშია

პოლონურმა გაზეთმა „ფაქტმა“ მთელი ორი გვერდი მიუძღვნა თემას: ჩვენ მეოთხედფინალში ვართ! ვინ? - იკითხავს მკითხველი. პოლონელთა ეროვნული გუნდი ხომ ჯგუფიდან ვერ გავიდა და უკვე შინ არის. დიახ, მაგრამ ლუკაშ პოდოლსკი და მიროსლავ კლოზე მეოთხედფინალში გახლავან.

გერმანიის ნაკრების ამ ორ ფორვარდს ერთად შვიდი გოლი აქვს გატანილი. ბევრჯერ დაგვიწერია, რომ ეს ორი ახალგაზრდა პოლონელი წინაპრების გაგერმანელებული შთამომავალნი კი არა, სამშობლოდან ათი-თხუთმეტი წლის წინ დედ-მამის წამოყვანილი ბალღები არიან, რომლებიც მოედანზე ერთმანეთში პოლონურად ლაპარაკობენ.

მეორე ტაბლოიდი, „სუაერ ექსპრესი“ კი შიშობს, რომ 20 წლის შემდეგ ახალი თაობის კლოზეები და პოდოლსკები მარტო გერმანიაში კი არა, ინგლისსა და ირლანდიაშიც ითამაშებენ. გაზეთის აზრით, ასეთ ხვედრს ნაკომუნისტარი ქვეყანა ევროკავშირში შესვლის შემდეგ ვერანაირად ვერ აცდება.

პაპუნა კედია

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა

GEO ჯეო



და ღაი-ღაის აბონენტთათვის.

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006

და გამოინერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე

და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის კიმნები.

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ეთანხმება ჯეოსელის

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
SLOT POKER CLUB VEGA
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

მერვედფინალი



AFP ჯაი ზეირსლაუდერნიდან

იტალია 1:0 ავსტრალია

№53. 26 ივნისი. 19.00. ჰაიზერსლაუტერნი. „ფრიც პულტერ მბადიონი". 46 000 მაყურებელი

1:0 ტოტი (90ბ)



შეცვლა: ჯილარდინო – 15. იაკინტა (46), ტონი – 6. ბარძალი (56), დელ პიერო – 10. ტოტი (75), სტერიოვსკი – 15. ალოიზი (81)

გაფრთხილება: გრელა (23), გროსო (29), კეჰილი (49), უილკშირი (61), გატუზო (89), ძამბროტა (90)

გაძევება: მატერაცი (50)

მსაჯები: ლუის მედინა კანტალეხო; ვიქტორიანო გირალდეს კარასკო, პედრო მედინა ერნანდესი (ესპანეთი)

17	ჯარიმა	26
2	კუთხური	2
11	კარისკენ დარტყმა	8
6	კარში დარტყმა	4
2	თამაშგარე	2
41	ბურთის ფლობა პროცენტულად	59

დავა-ბრალი კანტალეხოს, მეოთხედფინალი იტალიას

დავდგეთ ეხლა და ვიდავოთ... ზოგი იტყვის, რომ 93-ე წუთზე ავსტრალიელთა საჯარიმოში ფაბიო გროსო წაქცეულ კრეიგ მურს რომ წამოედო და თავად წაიქცა, პენალტი არ უნდა დანიშნულიყო, სხვა კი იმის მტკიცებას დაიწყებს, რომ, როდესაც მეორე ტაიმის დასაწყისში მარკო მატერაცი მარკო ბრეშანოს შეტევის ჩასაშლელად გასრიალდა, ბრეშანო მის ფეხს გადაახტა, თანაგუნდელი ჯანლუკა ძამბროტა კი ვერა — გამოვიდა, რომ მატერაციმ თანაგუნდელი წააქცია — ამის შემხედვარე მსაჯი კი იტალიელი მცველისკენ გაექანა და პირდაპირ წითელი აუფრიალა. ეს იყო უსამართლობა. თუმცა, მოდი, „მსაჯობა გერმანია 2006-ზე" ცალკე თემად მოვიტოვოთ, იტალიისა და ავსტრალიის მერვედფინალური შეხვედრის მიმოხილვა კი იმით დავიწყოთ, რომ „სკუადრა აძურა" მეოთხედფინალში 93-ე წუთზე გატანილი პენალტით გავიდა. პენალტი მოედანზე ალესანდრო დელ პიეროს ნაცვლად თამაშის ბოლოს შესულმა ფრანჩესკო ტოტიმ გაიტანა და ეს გახლდათ შეხვედრის ერთადერთი გოლი.

ორი გამოჩენილი მწვრთნელის, იტალიელი მარჩელო ლიპისა და „სოკერუს" ჰოლანდიელი შეფის გუს ჰიდინკის დაპირისპირება ფრიად ტაქტიკური და ალბათ ამიტომ ზედმეტად ფრთხილი გამოვიდა. ერთი სიტყვით, მატჩის გვარიანად დიდი მონაკვეთები სეირად არ ვარგოდა. მხარეებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შეცდომისგან თავის დაზღვევას და თუ მეორე ტაიმში ავსტრალია უფრო უტევდა, არ არის გამორიცხული, რომ რიცხობრივი უპირატესობის ბრალი იყო.

მარჩელო ლიპიმ თითქოს შემადგენლობაც რაღაცნაირი, უფრო ფრთხილ ფეხბურთზე გათვლილი, უფრო „სტერილური" გაიყვანა მოედანზე. კაცმა რომ თქვას, „სკუადრა აძურამ" ძირითად ამოცანას, უშეცდომოდ მოქმედებას თავი მართლაცდა იტალიური ხარისხითა და ოსტატობით გაართვა, თუმცა ზემოხსენებულმა „სტერილურობამ" შეტევები აშკარად დაუბლაგვა და ფანტაზია მოაკლო. ტოტის ნაცვლად ალესანდრო დელ პიეროს თამაშმა შეტევათა გამრავალფეროვნების თვალსაზრისით ლიპის და მის გუნდს ბევრი ვერაფერი მისცა. წინ ორი ფორვარდი, ლუკა ტონი და ალბერტო ჯილარდინო, ალბათ, შეტევის მოყვარული ავსტრალიელების მათ ნახევარზე დასატოვებლად იყო გამიზნული, ნახევარდაცვაში მაურო კამორანეზის არყოფნა კი, სავარაუდოდ, უფრო ჩამშლელ ბიჭებზე ორიენტაციას ნიშნავდა. და კიდევ ერთი, ტოტი თადარიგში ფსიქოლოგიური ფაქტორია — მეტოქემ იცის, რომ ამ გუნდს კიდევ თვით ტოტის გამოყვანა შეუძლია...

საბოლოოდ კი იყო პირველი ტაიმი, რომლის განმავლობაშიც იტალიამ თავი უშეცდომოდ, იტალიურად დაიცვა, მაგრამ შეტევაში ფანტაზია აკლდა. მომენტები? მომენტები და ნახევარმომენტები „სკუადრა აძურას" ჰქონდა. მაგალითად, მე-20 წუთზე ტონიმ ჯილარდინოს თავით დაუგდო ბურთი და მანაც გაუჩერებლად დაარტყა; კიდევ, ანდრეა პირლოს გრძელი პასი ჯილარდინომ მიიღო, შემდეგ ბურთი ტონის გადააწოდა, „ფიორენტინას" ფორვარდმა ბრუნით დაჰკრა დაბალი, მაგრამ ავსტრალიელთა მეკარე მარკ შვარცერმა მარჯვნივ მოძრაობის მიუხედავად ფეხის დატოვება და კარის გადარჩენა მოახერხა.

იყო „სოკერუს" მომენტიც: სკოტ ჩიპერფილდმა საჯარიმოდან ჯანლუიჯი ბუფონს გამოავლენინა უბადლო ოსტატობა, რასაც ისევ იტალიელების ჩხვლეტა მოჰყვა, შესვენების შემდეგ კი, როგორც თავში მოგახსენეთ, არბიტრმა მატერაცი გააძევა... თუმცა, სანამ თერთმეტი თერთმეტზე იყვნენ, პირველი მომენტი ისევ იტალიამ შექმნა. სხვათა შორის, მეორე ტაიმში ლიპიმ ჯილარდინოს ნაცვლად ვინჩენცო იაკინტა შეიყვანა მოედანზე, მაგრამ, აქვე რომ გითხრათ, ჯილარდინოზე უკეთესი არაფრით არ იყო.

კაცნაკლულმა ლიპიმ ფორვარდი „მოხსნა" — ტონის ნაცვლად საჯარიმო ფეხბურთში გამოუცდელი მცველი, პალერმოელი ანდრეა ბარძალი შეიყვანა მოედანზე... შემდეგ ისევ ჩიპერფილდმა შეამოწმა ბუფონის ოსტატობა, მაგრამ მეკარემ გამოცდა კვლავ ფრიადზე ჩაბარა. სასაცილო მომენტი იყო, როდესაც იტალიელთა საჯარიმოში ავსტრალიელთა ფორვარდსა და კაპიტანს მარკ ვიდუკას ორი წამის შუალედში ორივე ხელზე მოხვდა ბურთი, ბოლოს კი დელ პიერო ტოტიმ შეცვალა, იაკინტამ ერთი ნახევარმომენტი შექმნა და ბოლოს...

ვიდავოთ ეხლა, რამდენიც გვინდა.

კაკუნა კედია

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მერვედფინალი. დღეს

ენაგადაყლაპული ადრიანო

რობერტო კარლოსმა აურ-დაურია



AFP

რობინიო, ალბათ, ვერ ითამაშებს

ბრაზილია — განა

დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი“. 19.00

1. დიდა; 2. კაფუ, 3. ლუსიო, 4. ჟუანი, 6. რობერტო კარლოსი; 8. კაკა, 5. ემერსონი, 11. ზე რობერტო, 10. რონალდინიო; 7. ადრიანო, 9. რონალდო მწვრთნელი: კარლოს ალბერტო პარეირა	22. კინგსონი; 15. პანცილი, 13. მოჰამედი, 5. მენსა, 7. შილა; 10. აპია, 20. ო. ადო, 18. ე. ადო, 11. მუნტარი; 14. ამოა, 3. გიანი მწვრთნელი: რატომირ დუიკოვიჩი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

„ამ მატჩის წაგება აზრად რომ გამევლო, ახლავე ჩავალაგებდი ჩემოდნებს და შინ წავიდოდი. განასთან წაგებაზე არც მიფიქრია. ჩვენს ძალაში ეჭვი არ მეპარება. ბოლო 12 წელია, ვაჩვენებთ, რომ მუნდიალზე არ ვაგებთ. ფეხბურთი ვითარდება, მაგრამ ბრაზილია ისევ წინ არის და ახლაც მზად ვართ“ — რობერტო კარლოსის განწყობა იმდენად ოპტიმისტურია და იგი პენტკამპეონთა ძალებში იმდენად დარწმუნებულია, რომ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთთან წაგებაც დაავიწყდა.

სხვა ბრაზილიელები უფრო თავშეკავებულ კომენტარებს აკეთებენ. მეტოქეს დიდი პატივისცემით ეკიდება პენტაკამპეონთა თავკაცი კარლოს ალბერტო პარეირა, რომელსაც სამწვრთნელო კარიერის დასაწყისში განაც გაუწვრთნია.

„მიკაელ ესიენი კი აკლიათ, მაგრამ სტეფან აპია ხომ ითამაშებს. განა კარგი გუნდია, რომელიც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთან ბოლომდე იბრძოლებს. აფრიკელებს დასაკარგი არაფერი აქვთ. განელები საკმაოდ აგრესიულნი იქნებიან და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. მთავარია, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ“ — თქვა პარეირამ.

შესაძლოა, ბრაზილიელებს, რობინიო დააკლდეთ. 22 წლის ფორვარდი ფეხს იტკივებს და უარეს შემთხვევაში ოპერაცია დასჭირდება. თუმცა ნაკრების ექიმი ჟოზე ლუის რუნკო ჯერჯერობით იმედიანადაა. ასე რომ, ვინ იქნება თავდასხმაში რონალდოს მეწყვილე, ჯერ უცნობია. ყველაზე რეალური კანდიდატი ადრიანოა, მაგრამ ამბობენ, იგი მწვრთნელს გაებუტა, იაპონიასთან რატომ არ მათამაშეო და არც პრესას ესაუბრება.

„ადრიანომ ივარჯიშა და უხასიათობა ვერ შევამჩნიე. ან რატომ უნდა იყოს ფეხბურთელი უხასიათოდ ერთი თამაშის გამოტოვების გამო?“ — იკითხა პარეირამ.

რობერტო კარლოსი: „მესმის ადრიანოსი და ჟუნინიოსი. ისინი ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან და ძირითად შემადგენლობაში თამაში სურთ. თუმცა ნაკრებში რაიმე უთანხმოებასა და კონფლიქტზე საუბარი ზედმეტია. ადრიანო მშვენიერ ხასიათზეა და პრესას იმიტომ აღარ ესაუბრება, რომ რამდენიმე ჟურნალისტმა მისი სიტყვები გადაკეთა. თუმცა, თუ ზოგადად მუნდიალის შესახებ დაუსვამთ კითხვებს, გიპასუხებთ, პირადულზე კი — არა.“

მოგეხსენებათ, ბრაზილიელთა მთავარმეგოლე რონალდომ, იაპონიასთან მატჩში ორჯერ გაიტანა და კრიტიკოსები ცოტა ხნით მაინც გააჩუმა. ამ გოლებით კი იგი ლეგენდარულ გერმანელ გერდ მიულერს დაეწია. ახლა მუნდიალებზე ორივეს 14 გოლი დაუგროვდათ და „კიჭას“ ახალი რეკორდის დამყარების შანსი აქვს.

„მეტოქეს აგდებულად არ უნდა შევხედოთ, რადგან განას ბევრი მაღალი კლასის მოთამაშე ჰყავს. რამდენიმე მატჩის ჩანაწერი ვნახეთ და მათი სუსტი წერტილები შევისწავლეთ. რაც შეეხება ჩემს გოლებს და ახალ რეკორდს, რა თქმა უნდა, გამიხარდება, თუ ბევრს გავიტან, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია. მთავარია, მუნდიალი მოვიგოთ. კარგ ფორმაში ვართ, ნაკრებში საბრძოლო განწყობაა და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ კვლავ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდეთ“ — თქვა რონალდომ.

განელები, ცხადია, ბრაზილიის ჩრდილში მოექცნენ, მაგრამ საკმაოდ ორგანიზებული და ძლიერი აფრიკული ნაკრები ყველანაირად შეეცდება, მორიგი სიურპრიზი შემოგვთავაზოს, თუმც ერთ-ერთი ლიდერის, დისკვალიფიცირებული მიკაელ ესიენის გარეშე გაუჭირდება.

„გვიხარია, რომ ბრაზილიას ვხვდებით. არანაირი შიში, იმავე სტილით ვითამაშებთ, რომლითაც აქამდე ვთამაშობდით და ჩვენი შანსიც ამაშია“ — აღნიშნა აფრიკელთა კაპიტანმა სტეფან აპიამ.

განას სერბი თავკაცი რატომირ დუიკოვიჩი: „ბუნებრივია, დებიუტანტთათვის ძნელია მუნდიალის ფავორიტებთან თამაში, მაგრამ შანსი გვაქვს. ბიჭებს ყოველთვის ვახსენებ, რომ ვთამაშობთ თერთმეტი თერთმეტზე, ხოლო ბურთი მოედნის ცენტრშია. რთული იქნება ბრაზილიელთა ყველა ვარსკვლავის შეჩერება. თუმცა სათანადო ტაქტიკა უნდა შევიმუშავოთ, რომ გოლის გატანის შანსიც გვქონდეს. ერთი სიტყვით, ვიბრძოლებთ და ბრაზილიას იოლი გასეირნების იმედი ნუ ექნება.“

გიორგი ძაძაგაძე

ესპანეთი — საფრანგეთი

ჰანოვერი. „AWD არენა“. 23.00

1. კასილიასი; 22. პაბლო, 15. სერხიო რამოსი, 5. პუიოლი, 3. პერნია; 18. ფაბრეგასი, 14. ხაბი ალონსო, 8. ხავი; 9. ფ. ტორესი, 7. რაული, 21. ვილია მწვრთნელი: ლუის არაგონესი	16. ბარტეზი; 19. სანიოლი, 15. ტურამი, 5. გალასი, 13. სილვესტრი; 7. მალუდა, 6. მაკელელე, 4. ვიეირა, 10. ზიდანი; 12. ანრი, 20. ტრეზეგე მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

გასხლოვთ, ჯგუფში ტოგოსთან თამაშის წინ მთელი საფრანგეთი რომ დაირაზმა ზიდანის „გადასარჩენად“? დიდ ზიზუს ორი ყვითელი ჰქონდა აკიდებული და გალები თუ მერვედფინალში ვერ გავიდოდნენ, მუნდიალებზე და, საერთოდ, ფეხბურთში ზინედინ ზიდანის ბოლო შეხვედრა კორეასთან 1:1-ზე დასრულებული მატჩი იქნებოდა. მაშინ იყო გულზე მჯიღის ბრაგუნი და ლილიან ტურამის დაფიცება — ყველაფერს ვიზამთ, მერვედფინალში რომ გავიდეთ. თქვეს და აასრულეს კიდეც...

დღეს, 27 ივნისს, ზიდანი, ტიურამი და კომპანია ესპანეთს უნდა ეთამაშოს, ხოლო იმათ არანაკლებ სასახელო იუბილარი ჰყავთ — სამშაბათს რაულ გონსალეს ბლანკო 29 წლის ხდება. „მსოფლიოს ჩემპიონატზე დაბადების დღის აღნიშვნა პირველად მიწევს. ადრინდელ მუნდიალებზე შინ 24 ან 25 ივნისს მიწევდა გამგზავრება. ამიტომაც ხვალ ჩემთვის განსაკუთრებული ფიესტა იქნება და ვეცდები, ფრანგებმაც „იმხიარულონ“ — განუცხადა რაულმა ჟურნალისტებს მატჩის წინა დღეს. ესპანელთა ლეგენდას მწვრთნელი ძირითადში დააყენებს. იუბილარი თავდასხმაში ფერნანდო ტორესის გვერდით იქნება. ნახევარდაცვის ცენტრში სესკს ვიხილავთ, ფლანგებზე ხაბი ალონსოს და ხავი ერნანდესს. „ფრანგებს ძლიერი გუნდი ჰყავთ, ჯგუფში კლანჭები არ გამოაჩინეს და მათ აქტიურობას საშაბათს ველოდები“ — შეაქო მეტოქე ესპანეთის მწვრთნელმა არაგონესმა.

„კლანჭებიანების“ თავკაცი დომენეკი კი ჟურნალისტებთან ბაასში გაჯიუტდა — საფრანგეთის სასტარტო თერთმეტს მატჩის დაწყებამდე 45 წუთით ადრე შეიტყობთო. საგონებელში ჩავარდნილმა ფრანგულმა მედიამ იფიქრა და ის მაინც დაადგინა (თუ ივარაუდა), რომ „სამფეროვანთა“ თავდასხმაში ოდენ ანრი არ იქნება ეულად და გვერდით ტრეზეგე ეყოლება. შვეიცარიასთან და კორეასთან „ერთი ფორვარდის პოლიტიკამ“ არ გაგვიმართლა, ტოგოსთან კი ორი თავდამსხმელით ერთბაშად ორი გავიტანეთო — წერდა „ეკიპი“ გუშინ. ზინედინ ზიდანიც, ალბათ, ძირითადში იქნება. მობერებული, მაგრამ ბრწყინვალე ზიზუ ფეხბურთით ბოლომდე დატკბება.

ლადო ხომერიკი

დღეს დაიბადა გონსალეს ბლანკო

თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»
ნელმძღვანელი ჭრით, თმის თმაზე

უყურე ფეხბურთს ჩვენთან ერთად დაშედეგით კმაყოფილი დარჩები

- უფასო კონსულტაცია, კონფიდენციალობა
- გარანტირებული მედეგობა
- უახლესი აღჭურვილობა ამერიკული ტექნოლოგიით



HAIRLINE INTERNATIONAL
მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული
ერთადერთი კლინიკა ამერკავკასიაში
ქავთარაძის 16 (სამეუნაღრო ტომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

გიო ახვლედიანის სვეტეული

ვუდი ალენი და დიდი ფილი

ერთი ასეთი გამარჯვებაც და ჩვენგან აღარაფერი დარჩება



პურტუგალ!

სიმართლე რომ ითქვას, პორტუგალია მაგარი გუნდია, ოღონდ, სამეოთხედფინალოდ ამ გუნდისგან ბევრი აღარაფერი დარჩა. ათი პორტუგალიელი პირაქეთ სჯაბნიდა თერთმეტ ჰოლანდიელს. მერე კი ფეხბურთი აღარ იყო, მერე ომი იყო და თან ისეთი, გენერლები რომ სასიკვდილოდ დაიჭრებიან ხოლმე. გენერალი ანდერსონ დე სოუზა დეკუც კი დაიჭრა სასიკვდილოდ, როცა შეეცადა, პირტიტველა ჰოლანდიელი ლეიტენანტისთვის ბრძოლის დაუწერელი კანონი შეეხსენებინა, მერე კი ასე მძიმედ დაჭრილმ არაფრით თმობდა თავის სანგარს და იქვე იპოვა უმადური სიკვდილი...

ხუმრობა იქით იყოს და ეს თამაში ლუიშ ფელიპე სკოლარისა იყო. თავიდანაც, როცა უბრალოდ თამაში იყო და რაც მერე დაიწყო. რამდენი ასეთი თამაში უნახავს დიდ ფილს უკიდეგანო ბრაზილიის ტერიტორიაზე? რამდენი ასეთი თამაშიდან დაუძვრენია თავისი გუნდები? რამდენჯერ უღრიალია და უნახვებია თავისი ფეხბურთელებისთვის ღონიერი ხელებით გამოყვანილი იდუმალი ნიშნები; რამდენჯერ წამოუწყია შეცვლა და რამდენჯერ გადაუფიქრებია? ძალიან ბევრჯერ. ის, რაც კვირა საღამოს იყო ტელევიზორში, ძალიან ხშირია ბრაზილიაში. ეს დიდი ომია და დიდი ხეირიცაა, ოღონდაც, როგორც იმ ძველ სპარსულ ნათქვამშია: კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება და ჩვენგან აღარაფერი დარჩება.

ამიტომ მეოთხედფინალი კიდევ უფრო საინტერესოა: დახვრეტილი, რიგებშეთხელებული პორტუგალია და ინგლისი-აჩრდილი. ინგლისი... ჰმ, ინგლისი. ინგლისი, რომელიც ისე გავიდა მეოთხედფინალში, რომ ერთი ტაში არ მიუღია. საერთოდ, თუ ინგლისი მსოფლიო ჩემპიონატზე ხვდება, მეოთხედფინალში იხურავს ქუდს, ერთი-ორჯერ მერვედფინალში და ერთხელ კი ნახევარფინალშიც ყოფილა. სერ ალფ რამსეის ნუ შევაწუხებთ.

ოღონდაც, ინგლისი ტაშით მიდის ხოლმე. იმიტომ, რომ ინგლისს შეუძლია დაუვიწყარი თამაშების შექმნა. შედეგის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ იგი მხოლოდ ამისთვისაა ხოლმე მსოფლიო ჩემპიონატებზე. მაგრამ ამჯერად ასე არ არის. ინგლისს ჯერ არ უთამაშია. არა კი არა, უფრო ვერ. ვერა თამაშობენ ბიჭები. დაღოღავენ. დგანან და ურტყამენ. ასეთი უსახური ინგლისი ძნელი მოსაძებნია.

მახსოვს ეგეთი თამაში: ინგლისი — ირლანდია. 1990 წელი. იმაზე მოსაწყენი, საშინელი და უვარგისი თამაში ინგლისის მონაწილეობით მე არ მინახავს. უფრო სწორად, აქამდე არ მინახავს. იმ ინგლის — ირლანდიაში ბურთი ან ჰაერში იყო, ან აუტში. დიდად სასაცილო თამაში იყო. ჩვენთან კიდევ ამბობენ, საფრანგეთი ფორმაში ვერ არის, საფრანგეთი არ ვარგა, საფრანგეთი ისა, საფრანგეთი ესა. ინგლისზე კი არაფერი. ინგლისი რა, ვარგა? მთელი მსოფლიოს პრესა ამ ინგლისურ ღოღვაზე წერს. ის ინგლისის ნაკრები კიდევ, 90-ში ნახევარფინალში გავიდა.

აქ, ინგლისს ჯერ ფეხბურთი არ უთამაშია და მეოთხედფინალში კი შეჩანჩალდა, პირადად ბექემის ორი ჯარიმით. ხოოო... მე ინგლისს ვბალეშიჩკობ, მაგრამ როცა ინგლისი თამაშობს, ათასი რამის გაკეთებას ვასწრებ. ანუ, როცა ინგლისი თამაშობს, დროს არ ვკარგავ. სურათი ეკრანზე მესამე კვირა დაიწყო და უცვლელია — დაახლოებით ისე, სინიორ რობინზონი რომ კინოში დადის და ზღვას უყურებს.

კვირასაც წყნეთის გრილოდან შექეიფიანებული ამხანაგები გამოვიდნენ კავშირზე, ამოიარე, გავგრილდეთო. რას ამბობ, ინგლისი თამაშობს-მეთქი. მოკვდნენ სიცილით, კარგი კარგიო. ავსულიყავი, ჰა?

არის ერთი ეგეთი ფილმი ვუდი ალენისა, რომელშიაც, როგორც ხშირად, თავად ალენი თამაშობს. ამ ფილმში მოთხრობილი გახლავს ამბავი რეჟისორისა, რომელიც კინოს გადაღების დროს დაბრმავდება და იმის შიშით, რომ შეკვეთა არ დაკარგოს, სიბრმავეს მალავს და უსინათლო იღებს კინოს. დიდი სასაცილო ფილმია. ჰოდა, ეს ინგლისის ნაკრები ზუსტად ისე თამაშობს, როგორც ბრმა ვუდი ალენი კინოს იღებს.

აი, ესეთი ამბებია.

ხოდა, ამიტომ ინგლისი — პორტუგალია მაგარი იქნება.

ევროპის ჩემპიონატებზე ყოფილა მაგარი თამაშები ამ გუნდებს შორის. ბოლო, ლისაბონში, განსაკუთრებით მაგარი იყო, რუნიმ რომ ფეხი მოიტეხა და რიკარდუმ რომ ხელთათმანები გადაყარა.

მსაჯებს კი ეშლებათ.

უკვე უამრავი შეცდომა დაგროვდა. ამ შეცდომებმა პლეი ოფებში გაიყვანა უკრაინა და განა, თუმცა ასე ითქმის ხოლმე, რომ მსაჯიც ადამიანიაო. ამისა კი ჩვენში ნაკლებად სჯერათ. მსაჯის კი არა, ზოგადად, ვინმეს თუ რამე თანამდებობა უპყრია, აუცილებლად განგებ აკეთებს რაღაცას, თორემ შეცდომას როგორ დაუშვებს. ამას ფეხბურთელებზეც ამბობენ.

საერთოდ კიდევ, არეულობა პორტუგალია — ჰოლანდიის თამაშში ფიგუმ დაიწყო. თავი რომ ჩაჰკრა ვან ბომელსა. ვან ბომელმა ერბი შეიცადა და მერე ტყვიანაკრავივით გაკოტრიალდა. მერე იდაყვის ამბავი იყო, მერე კიდევ ჰეიტინგამ ბურთი არ დააგდო. კუიტი ისე წაიქცეოდა ხოლმე, გეგონებოდა, ველარასდროს ადგებაო. კოტრიალს ასწავლი პორტუგალიელებს?! ანდა უხეშობაში აჯობებ? მთ უმეტეს, როცა მოედნის კიდეზე დიდი ფილი დგას.

აი, ვინ უნდა ყოფილიყო ინგლისელთა მწვრთნელი.

ჩავლილი ამბავია.

მგონი ინგლისი იმ ამაზონელმა შამანმა დააშამათა, რომელმაც შაბათს შტუტგარტის სტადიონიდან ავი სულები გაჰყარა. მაგრამ წინა თამაშებს რა ვუყოთ? ისიც გავიგე, ტოგოელ შამანებს რომ ეთქვათ, ჩვენი ძალაო, აფრიკას რომ გასცდება, ძალას კარგავსო და აი, აფრიკაში რომ ჩამოხვალთო... ოთხი წლის შემდეგ...

ისე, დიდმა ფილმა სწორად გადაწყვიტა, ინგლისის მწვრთნელობაზე უარი რომ თქვა. აბა, რა გამოდიოდა? მეოთხედფინალში თითქმის საკუთარ თავს უნდა შეხვედროდა. იმიტომ, რომ ერიკსონი პრაქტიკულად აღარ არსებობს. ერთი რომ, იანვრიდან მოხსნილია და მეორეც, ინგლისის ნაკრები მეოთხედფინალში ისე გავიდა, რომ მწვრთნელი ჰყავდა თუ არა, ვერავინ შეიტყო.

ასეთი ამბებია.

ომი მეოთხედფინალში ნახე-



ბურთის გაგორებიდან ამა და ამ წელს...

რა არის ჩვენი ცხოვრება: გადაითვალე ოთხი წელი, კიდევ ოთხი, კიდევ და...

რომის პაპი და მსოფლიოს №1 ტერორისტი, პრეზიდენტი და უსახლკარო მათხოვარი, მეფე და ჯარისკაცი — 9 ივნისიდან 9 ივლისამდე ყველა ერთმა ჩვეულებრივმა ტყავის სფერომ გააერთიანა.

მსოფლიოს ჩემპიონატები, რომლებიც ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება, თავისი მნიშვნელობით იმ ციკლებადაც შეიძლება ჩითვალოს, რომლითაც კაცობრიობა საკუთარი ისტორიის დინებას ითვლის. არა მარტო სპორტული, საზოგადოებრივი ან პოლიტიკური — ზოგადი ისტორიის დინებას. ან რა გასაკვირია. არ არსებობს დუნიაზე სანახაობა, რომელიც მონაწილის, ტურისტის, მაყურებლის სახით უფრო მეტ ადამიანს იზიდავდეს. მასში გაცილებით მეტი ადამიანია ჩართული, ვიდრე მსოფლიოში მიმდინარე ნებისმიერ სხვა პროცესში.

საფეხბურთო სამყარო თავისებურია და გეოპოლიტიკურადაც მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი პოლიტიკური ანალოგისგან. აქ ზესახელმწიფო ბრაზილიაა და არა ამერიკის შეერთებული შტატები, „ნარინჯისფერ რევოლუციად“ კი უმალ მსოფლიოს ჩემპიონატში ჰოლანდიელთა გამარჯვება გამოცხადდებოდა — ერთადერთი დიდი საფეხბურთო სახელმწიფოსი, რომელსაც ამგვარი პატივი ჯერ არ რგებია. აქ, მუნდიალზე, შესაძლოა, ერთმანეთის პირისპირ დამდგარიყვნენ ირანი და ამერიკა და ეს შეხვედრა სამხედრო ოპერაციით ნამდვილად არ დასრულდებოდა. ამ სამყაროში მეფეებსა და პრეზიდენტებს არც ნიშნავენ და არც ირჩევენ. თუ თამაშობისე, როგორც ვერავინ სხვა, მაშინ მეფე ხარ და მორჩა. ფული, რა თქმა უნდა, ამ სამყაროშიც ბევრს ნიშნავს, თუმცა არა იმდენს, რამდენსაც „ჩვეულებრივ“ სამყაროში. მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყანა ვერასოდეს დაამარცხებს უღარიბესს მხოლოდ იმიტომ, რომ ის მდიდარია.

საფეხბურთო სამყარო გაცილებით სამართლიანიცაა, თუმცა უსამართლობებიც ხდება. შეიძლება დიადი, განუმეორებელი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ვერასოდეს მოხვდე მუნდიალზე, რადგან საფეხბურთო საზომებით პატარა ქვეყნის შვილი ხარ. ამის ცოცხალი მაგალითი ჟორჟ ვეაა, თავის დროზე მსოფლიოს ნომერ პირველ ფეხბურთელად რომ აღიარეს, შარშან კი კინაღამ მშობლიური ლიბერიის პრეზიდენტი გახდა. ამ სამყაროში შესაძლოა, მთელი მატჩი დიდებულად ჩაატარო, მაგრამ პენალტების სერიაში ერთმა შეცდომამ ყველაფერს ხაზი გადაუსვას. საჭიროა მაგალითების გახსენება? ამ სამყაროში შესაძლოა ერთმა ტრავმამ კარიერის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება გამოგატოვებინოს, მომდევნოს კი ოთხი წელი უნდა ელოდო — თითქმის ნახევარი საფეხბურთო ცხოვრება, რომლის განმავლობაშიც ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. ფეხბურთში სასამართლო ხელისუფლებაც გაცილებით დამოუკიდებელია აღმასრულებლისგან, ვიდრე დანარჩენ სამყაროში, თუმცა ამ სასამართლო ხელისუფლების შეცდომას გაცილებით დიდი ემოციის გამოწვევა შეუძლია, ვიდრე ჩვეულებრივი სასამართლო ხელისუფლებისას ჩვეულებრივ ცხოვრებაში. ფეხბურთი ყველაზე მეტად ესადაგება ჩვეულებრივ ცხოვრებას მონაწილეთა და მაყურებელთა ემოციების მრავალფეროვნებითაც. მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატები თავისი არსით ადამიანური მოდგმის შიშების, საფრთხეების, სიხარულების კონცენტრაციასაც ახდენს. უკვე რამდენიმე წელია, ამგვარი მასშტაბური ღონისძიებების ორგანიზატორები ტერორიზმს განსაკუთრებულად უფრთხიან. სულ რაღაც რვა წლის წინ, 1998 წლის საფრანგეთის მუნდიალის მსვლელობისას ტერორიზმთან ბრძოლაზე სიტყვაც არავის დაუძრავს. 2002 წლის კორეა-იაპონიის მუნდიალს ნიუ იორკის „ტყუპების“ ტრაგედია უძღვოდა, წინა და მიმდინარე ჩემპიონატებს შორის შუალედში კი ამას მადრიდისა და ლონდონის ტერაქტები დაერთო, დაიწყო თითქმის დაუსრულებელი ომი ერაყში... იმის იმედად ყოფნა, რომ ისლამისტ ტერორისტებს ძალიან უყვართ ფეხბურთი, ძალიან ძნელია. არადა, მუსლიმური სამყარო მუნდიალზე საკმაოდ წარმომადგენლობითი „დელეგაციით“ იყო ჩასული — აქ იყვნენ ტრადიციულად ვაჰაბიტური საუდის არაბეთიც და შიიტური ირანიც. ამ ორივე ქვეყანაში საფეხბურთო ფანატიზმი უკვე თითქმის არაფრით ჩამოუვარდება რელიგიურს, მაგრამ მაინც... თუმცა ისიც სათქმელია: ფეხბურთი არც იმდენად პოლიტკორექტულია, რომ მსოფლიოს საუკეთესო 32 ნაკრებს შორის ერაყელთათვისაც გამოძებნილიყო ადგილი. აქ პოლიტიკურ შეხედულებათა გამო არც გამარჯვებას მოგაკუთვნებს ვინმე, თუნდაც კინოსამყაროსგან განსხვავებით, რომელმაც „ფარენგეიტ 9-11“-ად წოდებულ ანტიბუშურ უნიჭობას კანის ფესტივალის მთავარი პრიზი არგუნა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დღეებში გერმანია ბუნებრივად იქცა მთელი სამყაროს ცენტრად. მდიდრები და ღარიბები, კაცი და ქალი, სარეცელს მიჯაჭვული ავადმყოფი, სამსახურში მყოფი მუშა ერთნაირი აღტყინებითაა მიჯაჭვული ეკრანს, სადაც ოცდაორი კაცი ერთ ბურთს დასდევს. ფეხბურთი დღევანდელი სახით სულ რაღაც 143 წლისაა, მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაც ოდენ 76 წელს ითვლის, მაგრამ ჯერ კაცობრიობას არ მოუგონია არაფერი სხვა, ასევე რომ შეეძლოს ადამიანთა მოდგმის გაერთიანება. და მიდის კაცობრიობის ისტორია წინ ფეხბურთის ბურთთან ერთად, რომელიც მუნდიალის დღეებში მშვიდობის მტრედად, თეთრ ბაირაღად, ერთიანობის სიმბოლოდ ქცეულა. სიმბოლურად საფეხბურთო ბურთი დედამიწასაც შეიძლება შეადარო და ამგვარი შედარება არანაირად არ გამოიწვევს ყველაზე რადიკალი ანტიგლობალისტის პროტესტს...

არავინ იცის, როგორი იქნება სამყარო მომავალი მუნდიალისას. 2010 წლამდე ძალიან დიდი დროა. მანამდე კი მივადევნოთ თვალი ასე განსხვავებულ ცივილიზაციათა და კულტურათა გალა-წარმოდგენას, რომელსაც, ერთი შეხედვით, მეტისმეტად მარტივი, მაგრამ თვითიდენტიფიკაციისთვის ასე მნიშვნელოვანი თამაში უდევს საფუძვლად.

სემიონ ნოვოპრუდსკი





ფერნანდო ტორესისთვის ინგლისში ომი გაჩაღდა

ინგლისური ჭიდაობა

ესპანეთის ნაკრების ფორვარდ ფერნანდო ტორესს თუ აქამდე „მილანს“ უკავშირებდნენ, ახლა მის მთავარ მსურველებად ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ჩელსის“ ასახელებენ. ბრიტანული პრესის ცნობით, მადრიდის „ატლეტიკოს“ 25 მილიონ გირვანქას სთავაზობენ.

„ყოველთვის სასიამოვნოა, როდესაც შენს სახელს დიდ კლუბებს უკავშირებენ, მაგრამ ხშირად ეს სიმართლეს არ შეეფერება და ბევრი კუდი აქვს მიბმული. ახლა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვფიქრობთ“ — თქვა ტორესმა.

აღსანიშნავია, რომ „ელ ნინიოზე“ ინგლისური კლუბები დიდი ხანია, „ნადირობენ“. კერძოდ, 2003 წლის ზაფხულში, როდესაც რომან აბრამოვიჩმა „ჩელსი“ იყიდა, მზად იყო, ტორესში 28 მილიონი გირვანქა გადაეხადა, მაგრამ „ატლეტიკოსგან“ უარი მიიღო.

„მანჩესტერი“ კი რუუდ ვან ნისტელროის შემცვლელზე ფიქრობს, რომელიც ალბათ, დატოვებს მანჩესტერს მუნდიალის მერე. გავრცელებული ცნობით, „ოლდ ტრეფორდის“ ბინადრები ჰოლანდიელში, რომლითაც მუნხენის „ბაიერნი“ დანტერესებული, 15 მილიონ გირვანქას ითხოვენ.

კოკი კანდელაკი

მე მაპპატიეთ!

ფიფამ თურქეთი გაანახევრა

ფათიჰ თერიმი

ფიფამ თურქეთის ნაკრებს სასჯელი შეუმსუბუქა და ოსმალოები ექვსის ნაცვლად, სამ მატჩს ითამაშებენ ნეიტრალურ მოედანზე.

შეგახსენებთ საქმის არსს: მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი ოფის საპასუხო შეხვედრაში, რომელიც სტამბოლში შარშან შემოდგომაზე გაიმართა თურქეთისა და შვეიცარიის ნაკრებებს შორის, ფეხბურთელებმა იჩხუბეს.

გასულ თებერვალში ფიფას სადისციპლინო კომიტეტმა თურქებს მკაცრი განაჩენი გამოუტანა — ევრო 2008-ის შესარჩევი ექვსი საშინაო შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე და უმაყურებლოდ უნდა ეთამაშათ. თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ საბოდიშო წერილი გაუგზავნა ფიფას და მათაც სასჯელი გაუნახევრეს. ფედერაცია და ჩხუბში მონაწილე ფეხბურთელები წერილში პატიებას ითხოვდნენ.

ფიფას განცხადებაში ვკითხულობთ: „თუკი ამ სამ მატჩში, ან ნებისმიერ მომდევნო შეხვედრაში, რომელიც თურქეთში გაიმართება, კვლავ განმეორდება შვეიცარიასთან მომხდარი, თურქეთის ნაკრები უმკაცრესად დაისჯება“.

გარდა ამისა, შვეიცარიელ ბენჟამინ ჰუგელს და მასთან მოჩხუბარ ემრე ბელოზოღლუს ექვს-ექვს მატჩიანი დისკვალიფიკაცია ოთხამდე შეუმცირეს, მაგრამ 9600 ევროს გადახდა ორივეს მაინც მოუწევს.

ყველაზე სახელგანთქმული „მოკრივის“, ალფაი ოზალანის ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაცია კი კვლავაც ძალაშია. ფათიჰ თერიმის თანაშემწე მეჰმედ ოზდილეკს ერთი წლით აუკრძალეს ფეხბურთში საქმიანობა, ხოლო ნაკრების ფეხბურთელ სერკან ბალჯის ორმატჩიანი გამოუწერეს, ისევე, როგორც შვეიცარიელთა ექიმ შტეფან მეიერს.



AFP



ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლარი: ფიგუ ქრისტე არ არის

ხრიკკვანტიანი პორტუგალია

ფითელ-ყვითლების ჯამი უდრის 20-ს — ასეთია მუნდიალის ვერვერობით ყველაზე „ბინძური" თამაშის დისციპლინარული სურათი. პორტუგალიის მერ ჰოლანდიელთა 10 ძლევაზე მოგახსენებთ, იქვე კი გავბედავთ და დავძენთ, რომ ამ შეხვედრის გაბინძურებაში, ან თუ გნებავთ წითელი და ყვითელი ფერებით აჭრელებაში, ლომის წილი რუსმა მსაჯმა ვალენტინ ივანოვმა შეიტანა.

„ისეთი თამაში გამოვიდა, სამხრეთ ამერიკაში ლიბერტადორესის თასზე რომ იმართება ხოლმე — თქვა შემდეგ გამარჯვებულთა ბრაზილიელმა თავკაცმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ — მერწმუნეთ, სამხრეთ ამერიკულ შეჯიბრებებში თავად მითამაშია და ვიცი, რა კოშმარიცაა, განსაკუთრებით არგენტინულ კლუბებთან დაპირისპირება".

ჩამოვთვალოთ ივანოვის გაძევებულები: კოშტინია, დეკო, ხალიდ ბულარუზი და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი. ლუიშ ფიგუმ კი მარკ ვან ბომელს თავი მიჰკრა და, შეიძლება ითქვას, გადარჩენილია.

„ის, რაც ფიგუმ გააკეთა, გაცილებით კორექტული საქციელია, ვიდრე იმ ჰოლანდიელის, რომელმაც ბურთი არ მისცა. დიახ, ფიგუს ადგილზე ქრისტე რომ ყოფილიყო მეორე ლოყას შეუშვერდა. მაგრამ ფიგუ ქრისტე არ არის. ვიმეორებ, მწამს, რომ ლუიში ჰოლანდიელზე გაცილებით კორექტული იყო".

შემდეგ, ბრაზილიელმა მწვრთნელმა, რომელიც აგერ უკვე მეორე მუნდიალია ხან ბრაზილიის და ხან პორტუგალიის ნაკრების თავკაცის რანგში მხოლოდ იმარჯვებს, დეკუზე ილაპარაკა.

„ბარათებს მსაჯი თავის შეხედულებისამებრ არიგებს, მაგრამ ვინაიდან დეკუს ხელი ჰკრეს, მასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები. საერთოდ, მთელი შეხვედრის განმავლობაში ჰოლანდიელები პორტუგალიელებს ხელს ჰკრავდნენ".

სკოლარი ორი ტაიმის განმავლობაში თავადაც ფრიად აქტიურობდა, სათადარიგოთა სკამის წინ მოძრაობდა, ხელებს შლიდა, ყვიროდა და მთელი გრძნობით გახლდათ მოვლენებში ჩართული.

„ხანდახან მოთამაშეები მოედნის კიდისკენ იყურებიან და ჩემი შემხედვარე გრძნობენ, რომ შეხვედრაში მთელი სათადარიგოთა სკამი მონაწილეობს. ეს მათ ამხნევებს" — ამბობს დიდი ფილი.

მსაჯთან თავის წილი პრეტენზიები ჰქონდა დამარცხებულთა შეფს, წარსულის უდიადეს ვარსკვლავს მარკო ვან ბასტენსაც:

„სამწუხაროა, მეორე ტაიმში ფეხბურთისთვის დრო ფაქტობრივად რომ არ გამოინახა. სამწუხაროა, მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში ასეთი მსაჯობის მოწმენი რომ ვხდებით. ყოველ წამს ვიღაც ჯარიმდებოდა, მსაჯი უსტვენდა და დრო გადიოდა. პორტუგალია კი გამოცდილი მეტოქეა, ხრიკებსა და კვანტის გამოდებაში ზედმეტად გამოცდილიც კი".

ჟურნალისტთა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა ის გარემოებაც, რომ ყველაზე მნიშვნელოვან თამაშში ვან ბასტენი „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელს, რუუდ ვან ნისტელროის არ ენდო. მწვრთნელმა ეს ტაქტიკური მოსაზრებით ახსნა, შეზღუდულ სივრცეებში ვან ნისტელროის სხვები მირჩევნიაო, თავად თავდამსხმელმა კი ხელი ჩაიქნია:

„საშინელებაა, როდესაც სათადარიგოთა სკამზე ზიხარ და შენში ფანი და ფეხბურთელი გაერთიანებულია".

პაპუნა კედია

ბალაკის ფეხი არასერიოზულია

AFP

გერმანიის ნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკი ფეხს იტკივებს. მან რამდენიმე ვარჯიში გამოტოვა, თუმცა, ექიმების თქმით, 29 წლის ნახევარმცველი არგენტინასთან მეოთხედფინალური მატჩისთვის მზად იქნება.

„მიხაელის ტრავმამ თავიდან შეგვაშინა, მაგრამ სერიოზული არაფერია და იგი არგენტინასთან ითამაშებს" — თქვა გერმანელთა მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა.

ვარაუდობენ, რომ ბალაკი ვარჯიშს ხუთშაბათს ანუ არგენტინასთან მატჩამდე დღით ადრე იწყებს. როგორც იცით, ლონდონის „ჩელსიში" ახლახან გადასულ ფეხბურთელს მუნდიალის დაწყებამდე ტრავმა ჰქონდა, რის გამოც კოსტა რიკასთან გახსნის თამაში გამოტოვა.

კოკი კანდელაკი

AFP

ბექემს ხალიჩა გამოუცვალეს



გელზენკირხენის „აუფ შალკეზე", სადაც შაბათს ინგლისი-პორტუგალიის ნახევარფინალური მატჩი გაიმართება, მეკარის ბაქანში ბალახი გამოცვალეს. საჯარიმო მოედნის დანარჩენი ნაწილი კი ხელუხლებელი დატოვეს, ამას არაფერი არ უჭირსო.

„აუფ შალკე" ერთ-ერთი იმ მოედანთაგანია, რომლის უხარისხობაც ორგანიზატორებმა აღიარეს. „აქა-იქ ბალახი გაყვითლდა და ამიტომაც გამოვცვალეთ" — განმარტა საორგანიზაციო კომიტეტის პრესმდივანმა გერდ გრაუსმა.

გავიხსენოთ, რომ ევრო 2004-ზე ინგლისმა პორტუგალიასთან პენალტების სერიაში წააგო და პენალტის ვერგამტანმა ბექემმა მაშინ დაიწუწუნა საფარი არ ვარგოდაო.

რიკელ-მე!

ინტერმა მილიონები გადათვალა

იტალიური ფეხბურთის გიგანტი „ინტერი" მზად არის „ვილიარეალის" არგენტინელ გამთამაშებელში, ხუან რამონ რიკელმეში 18 მილიონი ევრო ანუ 22,6 მილიონი დოლარი გადაიხადოს. ეს ცნობა ესპანურმა „მარკამ" გაავრცელა.

მაგრამ ერთია „ინტერის" სურვილი, ხოლო „ვილიარეალისა" მეორე ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშების ნახევარფინალისტი აცხადებს, რომ ფეხბურთელების გაყიდვა კი არა, პირიქით, გაძლიერება აქვს მიზნად დასახული. შეგახსენებთ, რომ ამასწინათ, თურქი თავდამსხმელი ნიჰათი იყიდეს „რეალ სოსიედადიდან", ხოლო ლონდონის „არსენალის" ფრანგი რობერ პირესი შეიძინეს ორი წლით.

პაპუნა კედია

AFP

AFP

AFP

AFP

ეჰ, ბევრისთვის დასრულდა მუნდიალი. შინ მიემგზავრება მექსიკური სომბრერო. გერმანია დაიცლება ნარინჯისფერი ლაშქრისგანაც — ამ ჰოლანდიელი ლამაზმანებისა და ედვინ ვან დერ სარისთვის დიდ სიხარულთან გამოთხოვების დრო მოიტანა პორტუგალიის ნაკრებმა. ჰოლანდია წავიდა, მექსიკაც და კიდევ სხვანიც. აი, ინგლისელები ჯერ არ აპირებენ ლამანშის გადალახვას და კონტინენტზე დარჩენისთვის ამ ლოცვისმაგვარსაც აღავლენენ. ამათ შორის ბევრი ისეთიცაა, გერმანული პოლიციის არასასურველ ყურადღებას რომ იპყრობს. აბა, რა იქნება, ყოველი ინგლისელი დღეში საშუალოდ ხუთ ლიტრ ლუდს ისხამს სტომაქშიო და... მოკლედ, გერმანული ლუდის ზღვა ინგლისური კათხით დაილევა.


AFP

AFP

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		27 ივნისი						
19:00	404	ბრაზილია-განა	1.30	4.60	9.50	1.01	1.14	3.09
19:00	405	ბრაზილია-განა 0:1	1.65	3.60	3.30			
23:00	406	ესპანეთი-საფრანგეთი	2.30	3.00	3.10	1.30	1.32	1.52
		30 ივნისი						
19:00	408	გერმანია-არგენტინა	2.70	3.10	2.50	1.44	1.29	1.38
		1 ივლისი						
19:00	409	ინგლისი-პორტუგალია	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
		ფინეთი						
		28 ივნისი						
19:30	480	ჰიკ-ტურკუ	1.75	3.50	3.90	1.16	1.20	1.84
19:30	482	კტპ-ჰაკა	3.20	3.10	2.05	1.57	1.24	1.23
19:30	483	ტამპერე-ჰონკა	1.75	3.40	3.90	1.15	1.20	1.81
		29 ივნისი						
19:30	484	ლაჰტი-იარო	1.80	3.30	3.70	1.16	1.21	1.74
19:30	485	მარიეჰამნი-კუოპიო	1.65	3.50	4.30	1.12	1.19	1.92

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ირლანდია						
		27 ივნისი						
22:45	490	ბოჰემიანი-კორკი	3.00	3.00	2.20	1.50	1.26	1.26
22:45	491	ლონგფორდი-ბრეი	2.30	3.00	2.90	1.30	1.28	1.47
22:45	492	შელბურნი-სტ.პატრიკსი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
		აშშ						
		28 ივნისი						
23:45	500	ნიუ ინგლენდი-დალასი	2.65	3.00	2.35	1.40	1.24	1.31
23:45	501	ნიუ იორკი-კოლამბუსი	2.00	3.00	3.30	1.20	1.24	1.57
23:45	502	კანზასი-ვაშინგტონი	2.40	3.00	2.65	1.33	1.25	1.40
23:45	503	ჩიკაგო-სოლტ ლეიკი	1.80	3.30	3.65	1.16	1.20	1.73
23:45	504	ჩივასი-ჰიუსტონი	2.35	3.00	2.65	1.31	1.24	1.40
		შვედეთი						
		თასი						
		28 ივნისი						
21:00	532	იურგორდენი-გაისი	1.50	3.60	5.30	1.05	1.16	2.14

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	2
		ჩოგბურთი.ქალები		
		უიმბლდონი		
		27 ივნისი		
14:00	585	დ საფინა-კრეიბასი	1.15	4.00
14:00	586	მისკინა-ბლეკი	1.10	5.00
14:00	587	რაიმონდი-შვედოვა	1.35	2.50
14:00	588	შარაპოვა-სმაშნოვა	1.05	6.50
14:00	589	ლიხოვცევა-ფორეცი	1.30	3.00
14:00	590	დემენტიევა-მირზა	1.30	2.85
14:00	591	ვაკულენკო-კინგი	1.45	2.20
14:00	634	მორესმო-აბრამოვიჩი	1.03	8.00
14:00	635	კრაიჩეკი-სტოსური	1.45	2.40
14:00	636	გაიდოსოვა-პრატი	1.82	1.80
14:00	637	გოლოვინი-დიას ოლივა	1.20	3.00
14:00	638	ივანოვიჩი-გალიარდი	1.11	4.50
14:00	639	დომაჩოვსკა-ბორველი	1.20	3.70
14:00	640	ვაშინგტონი-შრუფი	1.60	2.00
14:00	641	მიულერი-კანეპი	1.77	1.85
14:00	642	ფერნანდესი-მარტინეს გრანადი	1.30	2.90
14:00	643	მედინა-ხსიე სუ ვეი	1.18	3.70
14:00	656	იანკოვიჩი-დომინგესი	1.15	3.85
14:00	699	ვ უილიამსი-მატეკი	1.03	6.00
14:00	700	ხარკლეროდი-კოსტანიჩი	1.60	2.00
14:00	701	ჩინკი-პოუს ტიო	1.40	2.00
14:00	702	სანტანჯელო-ფრაზე	1.25	3.10
14:00	703	პირი-ფედაკი	1.18	3.80
14:00	704	დანილიდუ-პენგი	1.35	2.60
14:00	705	გრენვილი-ანი	1.35	2.40
14:00	706	პენეტა-ს კლოზელი	1.10	4.10
14:00	707	სკიავონი-სოუფი	1.03	7.50
14:00	708	პერი-ბაროისი	1.20	3.10
14:00	709	ლოიტი-როდიონოვა	1.40	2.35
14:00	710	დეში-ბამერი	1.12	4.20
14:00	711	სუნი-ვიერინი	1.40	2.30
14:00	712	ა ბონდარენკო-შონესი	1.55	2.20

			1	2
		ჩოგბურთი.კაცები		
		უიმბლდონი		
		27 ივნისი		
14:00	609	საფინი-რუსედსკი	1.45	2.35
14:00	610	ე მიურეი-მასუ	1.35	2.70
14:00	611	ტურსუნოვი-უდომჩოუკი	1.16	4.50
14:00	612	დავიდენკო-ფალა	1.30	2.85
14:00	613	სეპი-ბეიკერი	1.10	5.00
14:00	661	შტეპანეკი-დანჩევიჩი	1.25	3.00
14:00	664	ხიუიტი-ვოლანდრი	1.04	7.00
14:00	665	ხ ლი-სარეტა	1.35	2.80
14:00	666	ზიბი-მონტანესი	1.40	2.70
14:00	667	როხუსი ო-მიულერი	1.25	3.00
14:00	668	დ ფერერი-შტადლერი	1.25	3.00
14:00	669	ი მინარი-გარსია ლოპესი	1.70	1.85
14:00	670	ფ გონსალესი-ხორნა	1.10	5.00
14:00	671	გროსჯანი-სიმონი	1.25	3.00
14:00	672	ბერერი-ჯ. დელგადო	1.55	2.10
14:00	673	პაველი-გრანოლერსი	1.25	3.00
14:00	674	ბაგდატისი-მაკინი	1.05	5.50
14:00	675	ბენეტო-ფაუ	1.50	2.25
14:00	676	ფ მაიერი-ვიკი	1.30	2.85
14:00	677	როდიკი-ტიპსარევიჩი	1.10	5.00
14:00	678	ლიუბიჩიჩი-ფ ლოპესი	1.35	2.50
14:00	679	გიმელსტრობი-კ როხუსი	1.25	3.00
14:00	680	ა მარტინი-დი მაურო	1.40	2.55
14:00	681	ი ნიემინენი-დანიელი	1.10	5.00
14:00	682	დ ნორმანი-მ ლი	1.30	2.85
14:00	683	კოლშრაიბერი-საბაუ	1.35	2.50
14:00	684	გაუდიო-ფაურელი	1.45	2.35
14:00	685	გუდალი-ვან გამერდინი	1.55	2.10
14:00	686	ფიში-ჯინეფრი	1.60	2.00
14:00	687	აგასი-პასანსკი	1.10	5.00
14:00	688	ლუ-კენდრიკი	1.70	1.90
14:00	689	ნადალი-ბოგდანოვიჩი	1.10	5.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბარი	II-ში
15404	ბრაზილია-განა	3.00	2.80	2.00
15406	ესპანეთი-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16404	ბრაზილია-განა	1.06	5.50
16406	ესპანეთი-საფრანგეთი	1.60	2.00

გოლი:ყვავილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ყვავილად)

17404	ბრაზილია-განა	1.85	1.95
17406	ესპანეთი-საფრანგეთი	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12404	ბრაზილია-განა	2.00	1.60
12406	ესპანეთი-საფრანგეთი	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი. მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13404	ბრაზილია-განა	1.85	1.65
13406	ესპანეთი-საფრანგეთი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შორი ზგვეულად ჩაითვლება)

14404	ბრაზილია-განა	1.05	2.90
14406	ესპანეთი-საფრანგეთი	1.80	1.90

ვინ დაიწყებს თამაშს

19404	ბრაზილია-განა	1.85	1.85
19406	ესპანეთი-საფრანგეთი	1.85	1.85

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20404	ბრაზილია-განა	1.40	2.30
20406	ესპანეთი-საფრანგეთი	1.70	1.80

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22404	ბრაზილია-განა	1.80	1.80
22406	ესპანეთი-საფრანგეთი	1.80	1.80

ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყ/ფ) (ძირ. დრო)

21404	ბრაზილია-განა	2.20	10.00	1.50
21406	ესპანეთი-საფრანგეთი	1.80	10.00	1.80

იძენება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

23404	ბრაზილია-განა	2.80	1.32
23406	ესპანეთი-საფრანგეთი	3.00	1.30

ვინ მოაწვდის პირველ აუტს

24404	ბრაზილია-განა	1.80	1.80
24406	ესპანეთი-საფრანგეთი	1.80	1.80

შემდეგ ეტაპზე გასვლა

18404	ბრაზილია-განა	1.10	5.50
18406	ესპანეთი-საფრანგეთი	1.65	2.00

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10404	ბრაზილია-განა	1.55	2.70	9.00	1.00	1.32	2.07
10406	ესპანეთი-საფრანგეთი	2.70	2.00	3.40	1.14	1.50	1.25

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11404	ბრაზილია-განა	1.60	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11406	ესპანეთი-საფრანგეთი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
	მოსკოვის გამზირი №6	
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4	
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21	
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	თამარ მეფის №1	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29	
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის №39	
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის №12	

თურქები ვალს გაისად ჩაგვასესხებენ

მსოფლიოს ჩემპიონები ავანსად

ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველო თურქეთს 7 თებერვალსაც უმასპინძლებს

გაისად, 7 თებერვალს საქართველოს ნაკრები თურქეთს ეთამაშება — მატჩი ამხანაგური იქნება და თბილისში გაიმართება. ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია: საქართველომ და თურქეთმა გუშინ ყველა დეტალი საბოლოოდ შეათანხმეს და ამხანაგურ მატჩზეც მორიგდნენ. თურქეთი თბილისში ახალგაზრდულ ნაკრებსაც ჩამოიყვანს და ჩვენების „ვალიც“ ბოლომდე გასტუმრებული ექნება.

შეგახსენებთ, თურქეთს და საქართველოს ერთი ამხანაგური მატჩი უკვე უთამაშიათ: 2002 წლის 21 აგვისტოს თურქეთის და საქართველოს ეროვნული გუნდები ტრაპიზონში შეხვდნენ ერთმანეთს, მასპინძლებმა 3:0 გაიმარჯვეს. 20 აგვისტოს კი ახალგაზრდები რიზეში გაეჯიბრნენ ერთმანეთს და მალხაზ ასათიანის ერთადერთი გოლით ჩვენებმა მოიგეს.

ამ ამხანაგური მატჩების ისტორიაც სულ ესაა, ხოლო თებერვალში თბილისური გაგრძელება იქნება.

ამხანაგურის გარდა კი საქართველო — თურქეთს ორი ოფიციალური მატჩიც გაუმართავთ. მსოფლიოს ამ ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში პირველი შეხვედრა ქართველებს სწორედ ტრაპიზონში ჰქონდათ და ბევრის გასაკვირად, თამაში 1:1 მორჩა, ჩვენებიდან მაშინაც მალხაზ ასათიანმა გაიტანა. ახალგაზრდული გუნდების შეხვედრა კი ისევ რიზეში შედგა — 0:0.

შემდეგ იყო მეზობლების თბილისური მატჩი — შარშან, 5 მარტს თურქებმა ქართველებს „მიხეილ მესხზე“ გადაურბინეს და 5:2 მოუგეს. გოლები ალექსანდრე ამისულაშვილმა და ალექსანდრე იაშვილმა გაიტანეს.

ახალგაზრდებმა კი „ეროვნულზე“ ითამაშეს და მოგებული იქაც სტუმრები დარჩნენ — 2:0.

ერთი სიტყვით, თურქეთს თბილისში მეორედ დავუხვდებით: 2007 წლის 7 თებერვალს თბილისში საქართველო — თურქეთია.

თურქეთამდე კი, 15 ნოემბერს, საქართველო თბილისში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ურუგვაის მიიღებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას თქმით, სამხრეთამერიკელებთან ამხანაგური მატჩის 15 ნოემბერს თბილისში გამართვის თაობაზე შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეულია, ერთი-ორი წვრილმანიც და, ეს ამბავიც გადაწყვეტილი იქნება.

აქვე შეგახსენებთ, რომ თურქეთ-ურუგვაიმდე უფრო ადრე, 6 ოქტომბერს კი საქართველოს ნაკრები მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ გერმანიას როსტოკში ესტუმრება. ამხანაგური მატჩის სტატუსით ჩვენებს ასეთ სახელოვან მეტოქესთან ჯერ არ უთამაშიათ. თუმცა საქართველო — გერმანიას ორი შეხვედრა ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფშიც ჩაუტარებიათ: თბილისშიც გერმანიამ მოიგო 2:0 და ნიურნბერგშიც — 4:1.

და რაკი უკულმა გამოვყევით, ესეც ვთქვათ: საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მომავალ შესარჩევ ეტაპს 16 აგვისტოს ფარერებზე მატჩით დაიწყებს, 2 სექტემბერს საფრანგეთს უმასპინძლებს, 6 სექტემბერს უკრაინას ესტუმრება, ხოლო გერმანიამოვლილები იტალიას მიიღებენ.

მოკლედ, დიდი მატჩები გველის, გინდ, ოფიციალურები თქვით, გინდ, ამხანაგურები...

კოგა ინასარიძე

ალმას ყიფიანის ფოტო

ასეთ რამეს ქართულ სტადიონებზე თითქმის ყოველ თამაშზე ნახავდით...

მე და ფანი ვმუშაობთ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საქართველოს ნაკრების ფან-კლუბი შექმნა და სლოგანიც შეურჩია: „ჩვენ ერთი გუნდი ვართ!“

ქვეყანა გამეცნიერდა და თანამედროვე საფეხბურთო სამყარო ისე ვერ იქნება, გულშემატკივრებთან რომ არ წაიმუშავოს.

გულშემატკივრებთან მუშაობა პროფესიულ დონეზე — ამაში პირველები ინგლისელები არიან და არა იმიტომ, რომ ინგლისი ფეხბურთის სამშობლოა.

80-იან წლებში ინგლისელი გულშემატკივრების ხულიგნობა თავისი ზარითა და უკიდეგანობით „ეიზელის“ ტრაგედიით დაგვირგვინდა და უეფამაც ინგლისური კლუბები ევროტურნირებს ჩამოაცილა. ინგლისურ კლუბთა მესვეურები დაფიქრდნენ და მოიფიქრეს, რომ საჭიროა გულშემატკივრებთან სერიოზული მუშაობა. კლუბებმა ხულიგან გულშემატკივრებს აუხსნეს, რომ ძალადობა და აგრესიულობა გოიმობაა, რომ მათი ენერგია სხვა გზით უნდა ამოქმედდეს, რომ მატჩზე ლუდზარხოშიანი ქომაგის გარდა, ბებია-შვილიშვილმაც უნდა იაროს.

ინგლისურ კლუბებს ევროდისკვალიფიკაცია ხუთ წელიწადში მოუხსნეს, ინგლისში ამის მერე პრემიერლიგა შექმნეს, რომლისთვისაც გულშემატკივრების უმაღლესი კულტურა ერთ-ერთი მძლავრი საფუძველია.

ახლა კი, თითქოს ჩვენთანაც მწიფდება მსგავსი, ხოლო თუ რამ თეატრალურია ამაში, ჩავთვალოთ, რომ ეს ჩვენი ქომაგების ერთ-ერთი სუბკულტურაა. მაგალითად, კარგი იქნებოდა, ზუსტად განემარტათ, რატომ გამოცხადდა საქართველოს ნაკრების სიმბოლოდ მგელი, მაგრამ კარგია, რომ ფან-კლუბი შეიქმნა და საქმე წინ მიდის...

დავით თავართქილაძე

ბუბა ფიფიას ფოტო

საქართველოს ნაკრების ფანები ახალ ცხოვრებას იწყებენ

სახვაძე უკრაინას ელის

28 წლის მარცხენაფლანგელმა არჩილ სახვაძემ, შესაძლოა, უკრაინაში გააგრძელოს კარიერა — მის ტრანსფერზე ერთ-ერთი აგენტი უკვე მუშაობს. საბოლოოდ კი, სახვაძის უკრაინაში წასვლა-არწასვლა ერთ კვირაში გადაწყდება.

სახვაძეს უცხოეთში ადრეც უთამაშია — ირანის უმდიდრეს კლუბ „საბა ბათერში“, მაგრამ სპარსული ცხოვრების წესს ვერ შეეგუა და იქიდან წამოვიდა.

აწ დასრულებული სეზონის მეორე ეტაპზე სახვაძე „თბილისში“ თამაშობდა და გუნდს უმაღლესი ლიგიდან არგავარდნაში დაეხმარა.

სახვაძე თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს კაპიტნობდა, ხოლო ეროვნულ ნაკრებში ერთხელ უთამაშია.

ლუკა თალაკვაძე

სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (აღმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

შვედეთიდან სკამები ჩამოვიდა

ჰიკი ივლისში იქნება

ეროვნულ სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები გრძელდება — ყველაფერი ისეა, როგორც ადრევე იყო ჩაფიქრებული.

გუშინ სტადიონს დატვირთული ტრაილერები მიადგნენ, შვედეთიდან სამი ათასი ინდივიდუალური სკამი ჩამოიტანეს და ცოტა ხანში კიდევ ბევრ ათასსაც ელიან. როგორც აქამდეც ითქვა, „ეროვნულზე" ხუთი ფერის — თეთრი, წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი სკამები დამონტაჟდება, ეს თითქმის რომ ოლიმპიური ფერებია, ერთი სხვაობით, შავი თეთრითაა შეცვლილი.

ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია მოედნის საფარის საკითხი, თუმცა ეს ამბავი ალბათ ხვალზეგ საბოლოოდ გადაწყდება — „ეროვნულზე" ან ქანდაში მოყვანილი ბალახი დაიგება, ანაც გაზონს უცხოეთიდან ჩამოიტანენ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გუშინ გაემგზავრა გერმანიაში და ბალახთან დაკავშირებით ბოლო სიტყვაც მან უნდა თქვას. სადღეისოდ კი გრუნტის გასამაგრებელი სამუშაოები გრძელდება და ცოტა ხანში დრენაჟიც გაკეთდება, ხოლო გაზონის დაგება ორ კვირაში დაიწყება.

უკვე გარკვეულია ფინანსური საკითხები იმ კომპანიებთან, რომლებიც „ეროვნულზე" ვიდეოაპარატურას ჩამოიტანენ და დაამონტაჟებენ — ამ ელექტროსაქონლის ნაწილი გზაშია, ნაწილსაც ტრანსპორტირებისთვის ამზადებენ.

როგორც გვითხრეს, სტადიონზე სამუშაოები ჰიკს ივლისის ბოლოს მიაღწევს და რაიმე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა, 2 სექტემბრისთვის „ეროვნული" საბოლოოდ გაახლებულ სახეს მიიღებს. იქამდე კი 24-საათიანი მუშაობა გრძელდება...

ლუკა თალაძგაძე

ბადრი ჯალიაშვილის ფოტო

ამ სკამებს „ეროვნულზე" შვედური სკამები შეცვლის

ბადრი ჯალიაშვილის ფოტო

მამუკა გუგეშაშვილი

ზურაბ ჯაფარიძე

თბილისურ-ბათუმური რუსთავის ოლიმპი: გაგრძელება იქნება

„ბათუმიდან" წამოსული ფეხბურთელებით „თბილისის" ბაზაზე შეიქმნა გუნდი, რომელსაც რუსთავის „ოლიმპი" დაერქვა; დაენიშნა მთავარი მწვრთნელი ნოდარ აკობია, ვისი ხელმძღვანელობითაც გუნდმა რამდენჯერმე ივარჯიშა თბილისის იპოდრომზე და... რამდენიმე დღეში გუნდი დაიშალა. მაგრამ ამ, ცოტა არ იყოს, უცნაურ და ჩახლართულ ამბავს, შესაძლოა, გაგრძელება მოჰყვეს.

„თბილისი" „ბათუმიდან" წამოსულ რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად გელა გომელაურის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს, თუმც ეს უკვე იმას არ ნიშნავს, რომ ეს ფეხბურთელები „თბილისში" დარჩებიან. „თბილისს" დაუბრუნდნენ თორნიკე აფციაური და რევაზ გეწაძე, ვინც დონეცკის „მეტალურგში" ეშურებოდა გადასვლას.

„თბილისის" დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა გვითხრა, რუსთავის „ოლიმპი" ისე დაიშალა, მეორე მხარის წარმომადგენლებს ეს ჩემთვის არც შეუტყობინებიათ, ყველაფერი გაზეთებიდან გავიგეო...

როგორც გუგეშაშვილმა გვითხრა, ხვალ მოლაპარაკების მაგიდას ერთხელაც მიუჯდება იმ ხალხთან, მისი კომპანიონები რომ უნდა ყოფილიყვნენ.

ერთი სიტყვით, არის იმის ალბათობა, რომ რუსთავის „ოლიმპი" აღდგეს, ან „თბილისმა" სხვა კომპანიონი გამონახოს.

დავით თავართქილაძე

დინამოს ტორნინი დაშორდა

კაჭარავა ახალ ბრაზილიელებს ელის

ავსტრიულ ფონდორფში მოსამზადებლად მყოფ თბილისის „დინამოს" გუშინწინ ბრაზილიელი თავდამსხმელი დიეგო ტორნინი დააკლდა, ის შინ გაემგზავრა და ჯერ გაურკვეველია, დაუბრუნდება თუ არა „დინამოს". კლუბისა და ფეხბურთელის დაშორების მიზეზი უცნობია, თუმცა, შესაძლოა, ამ შეკრებისას ტორნინი გუნდს მაინც შეურთდეს.

უახლოეს დღეებში თბილისის „დინამო" 3-4 ბრაზილიელ ფეხბურთელს კიდევ ელის და ტორნინი თუ დამბრუნებელია, ფონდორფში მათთან ერთად ჩავა.

ამასობაში კი, ინტერტოტოს მეორე ეტაპზე თბილისის „დინამოს" შაბათის მეტოქე გრაცის „რიდმა" გუშინწინ შინ სლოვაკურ „კოშიცესთან" ამხანაგურ მატჩში 2:2 ითამაშა. ბუნებრივია, ამ შეხვედრამ „დინამოს" თავკაცი კახა კაჭარავაც დაინტერესა და თან ვიდეოოპერატორიც იახლა. თბილისელებმა „რიდზე" გარკვეული ინფორმაცია უკვე მიიღეს და ახლა მის დამუშავებას შეუდგებიან.

გუშინ კი დინამოელები შტაინმარკის მოყვარულთა ნაკრებს გაეჯიბრნენ და 15:0 დაამარცხეს. გოლები სანდრო იაშვილმა (3), კახა მახარაძემ (2), მიხეილ ბობოხიძემ (2), შოთა გრიგალაშვილმა (2), დავით გიგაურმა, მიხეილ ხუციშვილმა, ირაკლი ჩირიკაშვილმა, ჯაბა დვალმა, გიორგი მერებაშვილმა და ლევან აკობიამ გაიტანეს.

შეგახსენებთ, ჩვენებს ავსტრიაში კიდევ ოთხი ამხანაგური მატჩი აქვთ დაგეგმილი. ხვალინდელი მეტოქე კი უკვე ცნობილია — ავსტრიული მეორე ბუნდესლიგის „ლეობენი".

კოგა ინასარიძე

გახოკიძეს არგენტინა — ბრაზილია სურს

ჰოლანდიური ჰრეესა მარკო ვან ბასტენზე

ევროპაში მოთამაშე ქართველ ლეგიონერებს სეზონისწინა მოსამზადებელი ეტაპი უკვე დაეწყოთ. ჰოლანდიური ერედივიზიონის „ტვენტეს" შუახაზელ გოგა გახოკიძეს წინა სეზონი ტრავმების გამო, ფაქტობრივად, გაუცდა. მაისში გახოკიძე შვედეთშიც კი იყო სამკურნალოდ, რამაც კარგი შედეგი მოიტანა. გოგას ახლა ჰოლანდიაში შევეხმიანეთ...

— პირველ რიგში ჯანმრთელობაზე გკითხავ — ტრავმებისგან სრულად ჯანიკურნე?

— უკეთესად ვარ, ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად, თუმც სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. ჩემს ექიმ სიმონ ბაკივის ყოველდღე ვურეკავ შვედეთში. მან ნება დამრთო, რომ 1 ივლისიდან გუნდთან ერთად ვივარჯიშო.

— „ტვენტეს" უცხოური შეკრება არ აქვს?

— არა, რადგან ეს არ ესწრება — 15 ივლისს ინტერტოტოს თასზე უნდა ვითამაშოთ.

— მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში ჰოლანდია პორტუგალიასთან რომ დამარცხდა, ამაზე რას წერენ მაქაური გაზეთები?

— ჰოლანდიაში ყველა გაწბილებულია, აქაურებს მიაჩნიათ, რომ ნაკრებს პორტუგალიის დამარცხება შეეძლო. ჰოლანდიური მედია მარკო ვან ბასტენს ადრეც აკრიტიკებდა, ცოტა არ იყოს, უცნაური მწვრთნელიაო, ახლა კი უფრო მწვავედ აკრიტიკებენ, ყველა უკმაყოფილოა მის მიერ განხორციელებული შეცვლებით და შერჩეული შემადგენლობით.

— როგორ ფიქრობ, რომელ გუნდს აქვს უკეთესი შანსი, მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგოს?

— არგენტინას და ბრაზილიას, თუმც გერმანიაც კარგად გამოიყურება. მიმაჩნია, რომ თუ არგენტინა გერმანიას მოუგებს, ფინალშიც გავა. არგენტინა — ბრაზილია მართლაც ძალიან ლამაზი ფინალი იქნება.

დავით თავართქილაძე

დილით თამაში, საღამოს ლექცია

გამყრელიძემ ტრევიზოში ბრაიკოვიჩი ნახა

სეზონთაშორისი პერიოდია და ვინც უგუნდოდაა, ახალი კლუბის გამოსაძებნად ყველა შესაძლო ღონეს ხმარობს. ავსტრიულ „ფურსტენფილდში" ნათამაშევ გიორგი გამყრელიძეს ევროპისთვის თავის გასაცნობად კარგი შანსი მიეცა. მისმა მენეჯერმა ტრევიზოს ტრადიციულ „რიბოკის" კემპზე გაუჩარხა ადგილი და გამყრელიძეც 10-15 ივნისს მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდებთან ერთად ათობით სკაუტისა თუ მწვრთნელის თვალწინ იდენდა ოფლს. ლაშამ მოწონებაც დაიმსახურა და ტრევიზოდან პირდაპირ რეჯიო ემილიაში უკრეს თავი, სადაც ჩაროზად ერთკვირიან კემპშიც მიიღო მონაწილეობა. იტალიურ ამბებს თავად გამყრელიძე მოგვითხრობს

— ტრევიზოში მთელი მსოფლიოდან მოიყარეს თავი 1984-86 წლებში დაბადებულმა ახალგაზრდებმა. სულ რჩეული ბიჭები იყვნენ. რუსეთიდან მოვლინებული იყო 10 ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა, რომელთა უმრავლესობაც ცსკა-ში და სხვა წამყვან რუსულ გუნდებში თამაშობენ. იქ იყო გიორგი ცინცაძის ყოფილი არმიელი თანაგუნდელი ნიკიტა შაბალკინი, მთლიანობაში კი 50 კაცი მოგროვდებოდა.

— შარშან ტრევიზოს კემპზე ზაზა ფაჩულია და სხვა ნბა-ელები იყვნენ მწვრთნელებად მიწვეულნი. ამჯერად ვინ ჩამოვიდა?

— მოთამაშეები არ ყოფილან, მწვრთნელობა მოქმედმა და რაც მთავარია, უძლიერესმა სპეციალისტმა გასწიეს. ნბა-დან „გოლდენ სტეიტის" თავკაცი მაიკ დანლივი იყო ჩამოსული, ცსკა-ს ტრიუმფატორი მწვრთნელი ეტორე მესინაც იქ იყო. ერთ სიტყვით, ძალიან წარმომადგენლობით კემპი იყო და შესაბამისად ბევრი დამკვირვებელიც ესწრებოდა.

— როგორ ჩაიარა კემპმა?

— სამ გუნდად ვიყავით დაყოფილნი და დილიდან 4 საათის განმავლობაში ვარჯიშები გვქონდა, რასაც თამაშები და ლექცია-სემინარები მოყვებოდა. მწვრთნელები ამ მატჩების შედეგად ოლ სტარს ადგენდნენ და რჩეულთა ეს კრებული ტრევიზოში სტუმრად მყოფ ახალგაზრდულ ნაკრებებს ეჯიბრებოდა. იქ იყვნენ იტალიის, ფინეთისა და ხორვატიის ახალგაზრდულები. საინტერესო კი ის იყო, რომ ხორვატებს დრაჟენ ბრაიკოვიჩი წვრთნიდა. სამწუხაროდ, ოლ სტარში თამაშმა არ მომიწია.

— დილის მატჩებში თუ თამაშობდი?

— როგორ არა, განსაკუთრებით ბოლო მატჩი ვითამაშე კარგად. მეორე გამთამაშებელმა ტრავმა მიიღო და მოედანზე დიდი ხნით დავრჩი.

— სკაუტები ესწრებოდნენო და შენით ვინმე ხომ არ დაინტერესდა?

— ეს კემპი კარგი რეკლამაა ნებისმიერი მოთამაშესთვის, განსაკუთრებით კი იმათთვის, ვისაც არ იცნობენ. ჩემს შესახებ თითქმის არავინ არაფერი იცოდა და ტრევიზოში ჩასვლით ალბათ არაერთი გუნდის სკაუტი დაინტერესდებოდა. სერია A-ს გუნდ „რეჯიო ემილიას" გენერალურმა მენეჯერმა თავისი კლუბის კემპზე დამპატიჟა, რომელიც ტრევიზოს კემპის დამთავრებისთანავე გაიმართა.

— „რეჯიო ემილიამ" კონტრაქტი ხომ არ შემოგთავაზა?

— არა, უბრალოდ ამ გუნდის ბაზაზე გამართულ კემპში ვითამაშე და ეგ იყო. ემილიელებს კონკრეტული არაფერი შემოუთავაზებიათ, თუმც დაინტერესება რომ გამოხატეს, თავისთავად ცხადია.

— ახლა რას აპირებ?

— ახალგაზრდულ ნაკრებში ვვარჯიშობ და პორტუგალიაში ევროსაკვალიფიკაციოზე წასასვლელად ვემზადები. ჩემი მენეჯერი მალე ალბათ რომელიმე ევროპულ კლუბს მომინახავს. სატრანსფერო ფანჯარა 1 ივლისს იხსნება.

ირაკლი პერტაია

მაიკლ ჯორდანი ისევ კალათბურთში და ისევ საქმეშია. სწორედ საქმეში, რაკი რამდენიმე დღის წინ „შარლოტ ბობქეთსის" მფლობელ ბობ ჯონსონისგან კლუბის აქციათა მოზრდილი წილი იყიდა. ამ ორი წლის წინ დაარსებულ კლუბში დიდი აღმშენებლური გეგმით მივიდა

ჯორდანი ისევ ბრუნდება?

„თავდაპირველად მხოლოდ იმაზე იყო საუბარი, რომ მაიკლი კლუბის თანამფლობელი გახდებოდა და მართვის საკითხებში არ ჩაერეოდა — ამბობს ბობ ჯონსონი, ნბა-ს რაგინდარა კლუბის პირველი შავკანიანი მეპატრონე — მაგრამ გეგმები შეიცვალა და გადავწყვიტეთ, რომ ის ბერნისთან ერთად მენეჯმენტსაც გაუძღვება."

ბერნი ბიკერსტაფი „ბობქეთსის" მთავარი მწვრთნელი და მენეჯერია და ამიერიდან ის სწორედ „მის უჰაეროვნესობასთან" შეათანხმებს მოთამაშეთა ყიდვა-გაყიდვის, გაცვლა-გამოცვლის, გუდის დაკომპლექტებისა და სხვა მისთანა საკითხებს. მოკლედ, ჯორდანი აქტიურ საკალათბურთო საქმიანობას უბრუნდება.

იბადება ერთი მარადიული კითხვა: ყველა დროის უდიადესი კალათბურთელი ერთხელაც ხომ არ აპირებს მოედანზე დაბრუნებას? აქამდე ის ორჯერ დაბრუნდა კალათბურთში — 1994 და 2001 წლებში. მერე, 2003 წელს მესამედაც წავიდა და ყველას რომ ეგონა, კალათბურთისკენ საერთოდ აღარ გაიხედავსო, აგერ, ბატონო, გული ისევ საყვარელი საქმისკენ მოუწევს. თავისთავად ახლა საკმაოდ მცირეა იმის ალბათობა, რომ ჯორდანი კვლავ ჩაიცვამს ტრუს-მაისურს, თითქმით არც არის ამის შანსი, ის ხომ უკვე 43 წლისაა, ამ ასაკში კი თვით ისიც ვერ „გაქაჩავს" თუნდაც სათადარიგო მოთამაშის დონეს, ცხადია, ფიზიკურად. მაგრამ ნბა-ს ყოველდღიურობით გონებაგამომშრალი იდეალისტი ქომაგები, ალბათ, მაინც იმედოვნებენ, რომ ჯორდანს კვლავ იხილავენ ფიცარნაგზე.

მაგრამ ეს უაზრო მარჩიელობა იქამდე გადავდოთ, სანამ ჯორდანი ამაზე სერიოზული ფიქრის საბაბს არ მოგვცემს და მისი ვაშინგტონური ვოიაჟი გავიხსენოთ. „ვაშინგტონ ვიზარდსში" 2000 წელს პრეზიდენტად და გენერალურ მენეჯერად მისულმა მაიკლმა ფუნქციონერის როლი მთლად მოსაწონად ვერ შეასრულა. მაგალითად, ყველაზე უიღბლო სვლად ჩაეთვალა 2001 წლის დრაფტზე პირველ ნომრად 211 სანტიმეტრიანი, სკოლის მოსწავლის კვეიმ ბრაუნის აყვანა, რომელსაც 5 სეზონში 10 დოლარის საქმე არ გაუკეთებია.

მოკლედ, ჯორდანმა დიდხანს ვერ უყურა თავისი გუნდის საცოდაობას, მერე ადგა, თავად შევიდა სათამაშოდ და ორი წელი ყველას უჩვენებდა, როგორ უნდა კალათბურთის თამაში. მაგრამ ის ხსვა დრო იყო...

კოტე ყორშია

ნიუ იორკმა ბრაუნი გააბრუნა



ნიუ იორკს ლარი ბრაუნის ღრიალი მოენატრება

ნბა-ს უმდიდრეს და ამასთანავე ყველაზე უხეიროდ და უშნოდ აწყობილი კლუბის „ნიუ იორკ ნიქსის" პატრონებმა უდიდესი სისულელე ჩაიდინეს და ამ წლებში დაშვებულ ყველა შეცდომას ერთიათად გადააჭარბეს.

კლუბის ახალმა პატრონმა ჯეიმს დოლანმა გაუშვა ასოციაციის ერთ-ერთი უჭკვიანესი მწვრთნელი, დიდების დარბაზის წევრი ლარი ბრაუნი და მის ნაცვლად „ნიქსი" ჩააბარა პრეზიდენტს და გენერალურ მენეჯერ აიზია ტომასს. რა გამოვა ამ ცვლილებიდან, ამას მომავალი სეზონის პირველი რამდენიმე მატჩი გამოაჩენს. ტომასმა კი აქამდე თავი იმით გამოიჩინა, რომ ყველა ჩამოწერილი ვარსკვლავი თავისთან მიიწვია და უსაქმურობაში მილიონები აძლია, მერე კი უტვინოდ და უგემოვნოდ დაკომპლექტებული გუნდის გასაწვთნელად „დეტროიტს" ლარი ბრაუნი მოსტაცა.

შეიძლება ითქვას, რომ „ნიუ იორკი" ერთადერთი გუნდია, რომლის გახედნვაც ვერაფრით მოახერხა ბრაუნმა. მან არაერთი ნიჭიერი ბიჭისგან დააყენა ვარსკვლავი. მაგალითად, ალენ აივერსონისგან, ხოლო საშუალო გუნდებისგან ჩემპიონობაზე მებრძოლი რაზმები ჩამოქნა („ინდიანა", „ფილადელფია", „დეტროიტი"). მაგრამ „ნიუ იორკში" პირველ სეზონში მას არაფერი გამოუვიდა. ვერაფრით შეძლო თუნდაც სტივენ მარბერის სწორ რელსებზე შეყენება. ბოლოს კი ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და პრესაში მოთამაშეებისა და კლუბის მმართველების კრიტიკას მიჰყო ხელი. და აი, შედეგი: 5-წლიანი და 50-მილიონიანი კონტრაქტი 1 წლისა და 10 მილიონის აღების შემდეგ შეუწყვიტეს.

კოტე ყორშია

სახეზე გაჭყობთ კმაყოფილებას

მეორე განყოფილებად ევროჩემპიონატია ჩაფიქრებული

შაბათ-კვირას რუსთავის ქიმიკოსთა დარბაზმა ვეტერანი მოჭიდავის მსოფლიოს 1981 წლის ჩემპიონის თემურ ყაზარაშვილის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა კადეტ ბერძენ-რომაელებს შორის. მეორე წელია, შეჯიბრი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ტარდება და ევროპის ჩემპიონატის გენერალურ რეპეტიციად ითვლება. წლევანდელ ევროპას 25-30 ივლისს სტამბოლი მიიღებს. ბევრ ნაკრებს ჯერ შემადგენლობაც არ დაუზუსტებია და რუსთავული ტურნირი შიდა კონკურენციაში ბოლომდე გასარკვევადაც გამოიყენეს. სულ კი „ყაზარაშვილის თასს“ ექვსი ქვეყნის ნაკრები ესტუმრა.

გამორჩეულად ძლიერი გუნდები გამოიყვანეს თურქეთმა და აზერბაიჯანმა. პირველმა სულაც სამი ოქროს მედალი წაიღო შინ. გუნდური პირველობა კი, ცხადია, საქართველოს ნაკრებს დარჩა. ტურნირის კომისრად ფილამ პოლონელი გრიგოლ ბრუდჟინსკი მოავლინა. მის დასკვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ ექნებოდა, წინასატურნირო პრესკონფერენციაზე პირდაპირ ითქვა. საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია საერთაშორისო ფედერაციასთან კადეტთა ევროპირველობის მასპინძლობაზე აწარმოებს მოლაპარაკებებს და ბრუდჟინსკის რუსთავში მოვლინების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს იყო. ჯერ უცნობია, პოლონელი კომისარი როგორ შეფასებას დაწერს, თუმც, ტურნირის ორგანიზატორებს თუ დავუჯერებთ, პან გრიგოლმა საქართველო ძალიან კმაყოფილმა დატოვა.

ოთარ მაღლაკელიძე

ბურაბ დათუნაშვილის ფოტოზე

გელა საღირაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გოგშელიძე

თემურ ყაზარაშვილის სახელობის ტურნირი რუსთავი. 24-25 ივნისი

42 კგ	**63 კგ**
1 ტალენ მამედოვი (აზერბაიჯანი)	1 ქუელი ოზგანი (თურქეთი)
2 გია ბოლქვაძე (საქართველო)	2 რუსტან ალიევი (აზერბაიჯანი)
3 მამუკა ძაგნიძე (საქართველო)	3 ბესიკ სალდაძე (საქართველო)
3 ნორიკ ხაჩატრიანი (სომხეთი)	3 ლევან გვარამია (საქართველო)
46 კგ	**69 კგ**
1 გიორგი დათუნაშვილი (საქართველო)	1 კომან კუჩუ (თურქეთი)
2 მირალ შიხალიევი (აზერბაიჯანი)	2 ედუარდ ავტესიანი (სომხეთი)
3 არტურ პოღოსიანი (სომხეთი)	3 ზურაბ ხაჯიშვილი (საქართველო)
3 ზურაბ დათუნაშვილი (საქართველო)	3 შალვა კინწურაშვილი (საქართველო)
50 კგ	**76 კგ**
1 არჩილ თურმანიძე (საქართველო)	1 გოჩა ჯერენაშვილი (საქართველო)
2 საჩინო დავითაია (საქართველო)	2 ბიროლ ბაშანი (თურქეთი)
3 გეორქ გეორქიანი (სომხეთი)	3 ანნლანიკ ხაჩატურიანი (სომხეთი)
3 რაჰიდ გასანოვი (აზერბაიჯანი)	3 დავიდ ბიტიევი (აზერბაიჯანი)
54 კგ	**85 კგ**
1 ჰასან ტაშინ უზკული (თურქეთი)	1 ბესარიონ ალიბეგაშვილი (საქართველო)
2 გეორგ სააკიანი (სომხეთი)	2 ჯონი მინაძე (საქართველო)
3 ოღლუ ემრე (თურქეთი)	3 ამირან ზარნაძე (საქართველო)
3 არტურ ცატუიანი (სომხეთი)	3 გიორგი კბილაშვილი (საქართველო)
58 კგ	**100 კგ**
1 პაატა ბაკურაძე (საქართველო)	1 ვლადიმერ კაჭარავა (საქართველო)
2 გური ბაბილოძე (საქართველო)	2 საალიშ აივაზ ვემპი (თურქეთი)
3 დავით ბიწაძე (საქართველო)	3 ლაშა ნოდია (საქართველო)
3 უშანგი ციციშვილი (საქართველო)	3 ვასილ იმერლიშვილი (საქართველო)

ოქროს ფასი დაედო

ქართველებმა ბაქოს ხალიჩაზე ხელი მოითბეს

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ შარშან დაფუძნებული „ოქროს ლიგის“ ტურნირთა სერიის პირველი სეზონი ამ უქმეებზე ბაქოში დაგვირგვინდა. საგაზაფხულო ლიგებისგან განსხვავებით, აზერბაიჯანში აშკარად უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ეს თავიდანვე იყო ცნობილი. დასკვნით ტურნირზე ხომ ორგანიზატორებმა მოჭიდავეები ინდივიდუალურად მიიწვიეს. არჩევანი წინა ეტაპების ჩემპიონ-პრიზიორებზე გაკეთდა და ამ შედეგებით მონაწილეებში რვა ქართველი მოხვდა.

„ოქროს ლიგის“ ტურნირების დამატებითი დატვირთვა ფინანსური წახალისებაცაა, რომელსაც ბაქომდე პირველ-მერვე ადგილზე გასული მოჭიდავეები იღებდნენ. ბაქოში კი საპრიზო თანხა მხოლოდ პრიზიორებზე გადანაწილდა, შესაბამისად 5 ათასი, 3 ათასი და ათასი დოლარი.

პირველები ხალიჩაზე ბერძენ-რომაელები გავიდნენ. ბეგი დარჩიას სამეულიდან მედლის და თანხის გარეშე მხოლოდ შმაგი სალთხუციშვილი (74კგ) დარჩა. შალვა გადაბაძე (84კგ) მესამე ადგილზე გავიდა, ირაკლი ჭოჭუამ (55კგ) კი მხოლოდ ფინალური ბრძოლა წააგო.

კლასიკოსებზე ხელდამშენებულნი ბრუნდებიან თბილისში თავისუფლები. ზაზა თურმანიძის გუნდი დარჩიასას რაოდენობითაც აღემატებოდა და გამოცდილებითაც. ამის დასტურად სამი მსოფლიოს ჩემპიონის — რევაზ მინდორაშვილი (84კგ), გიორგი გოგშელიძისა (96კგ) და ლუკა კურტანიძის (+120კგ) ხსენებაც საკმარისია. ნაკლებად ტიტულოვანნი გელა საღირაშვილი (74კგ) და ლექსო მოდებაძე (+120კგ) კი ნაკრების სტაჟიან წევრებად ითვლებიან.

საბოლოოდ, ამ ხუთეულიდან კვარცხბეკზე ოთხი ავიდნენ. საღირაშვილმა და გოგშელიძემ ფინალში იჭიდავეს. იმარჯვეს და „ოქროს ლიგის“ ოქრო დაჭაშნიკეს, ხოლო კურტანიძემ და მოდებაძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ბერძენ-რომალები უკვე თბილისში არიან, თავისუფლები კი დღეს ჩამოვლენ და საშემოდგომო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგებიან. ამ სამზადისის ერთ-ერთი პირველ ეტაპი თბილისის ტრადიციული ტურნირები იქნება. გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავიძის სახელობის საერთაშორისო პირველობები სპორტის სასახლეში შარშანდელის მსგავსად ახლაც ერთდროულად, 15-16 ივლისს ჩატარდება და მასში მონაწილეობას მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავეები მიიღებენ. ჩვენი ნაკრების მწვრთნელები მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობის გამოკვეთას სწორედ კარტოზია-ბალავაძის შედეგების მიხედვით აპირებენ.

ოთარ მაღლაკელიძე

ჯერ თურქეთი, მერე ირანი

ქართული ხმალი აზიაში ისევ გამოჩნდა

ვაკის ფარიკაობის დარბაზში გუშინ „უძლიერესთა ტურნირი“ დასრულდა, ის რვა მოფარიკავე გამოავლინა, რომელიც 4-9 ივლისს თურქეთის ქალაქ იზმირში გასამართ ევროპის ჩემპიონატში რომ მიიღებს მონაწილეობას.

ვაკეში ყველა სახეობაში იფარიკავეს როგორც კაცებმა, ასევე ქალებმა, თუმცა საევროპო ლიცენზიები მხოლოდ კაცებში გათამაშდა და ისიც შეზღუდულად. — მხოლოდ ხმალსა და დაშნაში. მოხმალავეთა შორის ლიცენზიების მფლობელები არიან: პირველადგილოსანი კახაბერ მაღრაძე, ფინალში დამარცხებული ზურაბ ბაღსულიანი და მესამე ადგილის გამყოფნი: დავით თვალიძე და ნიკოლოზ ბაღსულიანი.

რაც შეეხება დაშნით მოფარიკავეებს, აქ ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება მოიპოვეს ჩემპიონმა დავით ელბაქიძემ, ვერცხლისმედალოსანმა დავით არველაძემ და მესამე ადგილზე გასულმა ანზორ ალბრეხტმა. რაც შეეხება მიხეილ ჯიქიას, რომელმაც „უძლიერესთა ტურნირში“ ალბრეხტთან ერთად მესამეზე ადგილი გაიყო, ის იზმირში არ მიემგზავრება. მის ადგილს რაპირაში გამარჯვებული თბილისელი სანდრო სიხარულიძე დაიკავებს. აქვე ამ სახეობის ქუთაისელ პრიზიორებსაც ჩამოვთვლით: ავთანდილ ჭეიშვილმა რაპირაში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო თემურ გორდაძემ და გიგა ჭოლაძემ ბრინჯაო ირგუნეს.

ქართველები იზმირში 3 ივლისს გაემგზავრებიან, 4-დან კი ევროჩემპიონატიც გახურდება. ამ ტურნირს მოხმალავეთა მსოფლიოს გრან პრი მოჰყვება, რომელსაც ირანი უმასპინძლებს და ქართველებიც თურქეთიდან პირდაპირ სპარსეთს მიაშურებენ.

ირაკლი პერტაია

უძლიერესთა ტურნირი. თბილისი

კაცები	**ქალები**
ხმალი	**ხმალი**
1. კახაბერ მაღრაძე (თბილისი)	1. ნატო კობიაშვილი (თბილისი)
2. ზურაბ ბაღსულიანი (თბილისი)	2. მადონა ჩაბრაძე (თბილისი)
3. ნიკოლოზ ბაღსულიანი (თბილისი)	3. რუსუდან წირქვაძე (თბილისი)
3. დავით თვალიძე (თბილისი)	3. ეკა გუნაშვილი (თბილისი)
რაპირა	**რაპირა**
1. სანდრო სიხარულიძე (თბილისი)	1. თეოდორა კახიანი (თბილისი)
2. ავთანდილ ჭეიშვილი (ქუთაისი)	2. თეონა ყვავაძე (ქუთაისი)
3. თემურ გორდაძე (ქუთაისი)	3. ქეთევან გოგიაშვილი (თბილისი)
3.გიგა ჭოლაძე (ქუთაისი)	3. სოფო კახიანი (თბილისი)
დაშნა	**დაშნა**
1. დავით ელბაქიძე (თბილისი)	1. ლანა გოგიტაძე (ქუთაისი)
2.დავით არველაძე (ქუთაისი)	2.ქეთინო სილაგაძე (თბილისი)
3. მიხეილ ჯიქია (თბილისი)	3. ნატო ხრიკინა (თბილისი)
3. ანზორ ალბრეხტი (თბილისი)	3. ალექსანდრა ანანიაშვილი (ბათუმი)

უიმბლდონი 2006. ბალახი
საპრიზო 10 378 710 £

AFP ლონდონიდან

არ გადაიღო, გადაიდო

გუშინ სრულიად ინგლისის კროკეტისა და ლაუნტენისის საჩოგბურთო კორტებზე, უფრო გასაგებად უიმბლდონს რომ ვეძახით, სეზონის მესამე და უპრესტიჟულესი სლემტურნირი დაიწყო და არც დაიწყო. უფრო სწორად, ვერ დაიწყო, რადგან ყბადაღებულმა ლონდონურმა ამინდმა ეგრევე გამოაჩინა თავისი ჭირვეული ხასიათი და ჯერ იყო, ტურნირის სტარტი .ორი საათით გადაიდო, ხოლო შემდეგ, მართალია, ერთბაშად 15 კორტი კი ახმაურდა, მაგრამ დროებით — წვიმამ ისევ დასცხო და თანაც ისე, რომ რომელიმე მატჩის ბოლომდე მიყვანას ვინ ჩივის, ორი სეტის დასრულებაც კი სანატრელი გახდა.,

არადა, გუშინ მთელი საჩოგბურთო სამყარო მოლოდინში იყო — მოუგებდა როჯერ ფედერერი რიშარ გასკეს და ბიორნ ბორგის ოცდახუთწლიანი რეკორდი ისტორიის კუთვნილება გახდებოდა — 1976-81 წლებში დიადმა შვედმა ზედიზედ 41-ჯერ იმარჯვა ბალახის კორტებზე და სადღეისოდ ფედერერს, სწორედ ასეთი შედეგი აქვს. ერთი მოგებაც და...

გუშინ არ გამოვიდა. როჯერი რიშარს 6:2 1:2 უგებდა, მაგრამ მერე ლონდონურმა თავსხმამ თავისი გაიტანა და თამაში გადაიდო. შესაბამისად გადაიდო ფედერერის სავარაუდო სარეკორდო გასროლაც.



AFP ლონდონიდან

გეგმა ვალდებულების გარეშე
ალონსოს ლაუდაც ეთანხმება

„ჩემპიონატის წინ ჩემთვის დავგეგმე ის ტრასები, რომლებზეც გამორჩეულად მინდოდა გამარჯვება. მათ შორის იყო კანადაც, აქ ხომ პოდიუმზეც კი არ ვმდგარვარ. სამი მთავარი რბოლა უკვე მოვიგე, მონაკოსი — ყველაზე პრესტიჟული, ესპანეთის — ჩემი მშობლიური და დიდი ბრიტანეთისა — ფორმულა 1-ის სამშობლოში. იმედი მაქვს, მონრეალშიც მივაღწევ წარმატებას, „რენო R26“ ხომ ფანტასტიკურად სწრაფი და საიმედოა - განაცხადა წლევანდელი სეზონის ლიდერმა ფერნანდო ალონსომ კანადაში ჩასვლისას



AFP

ისე აგიხდეთ ყველაფერი. კვირას მონრეალში, ლეგენდარული კანადელი პილოტის ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომზე დასრულდა 57-ე საფორმულო ჩემპიონატის პირველი ნახევარი. დასრულდა ალონსოს მორიგი ტრიუმფით — როგორც დაიწყო ბრძოლა პირველ სასტარტო პოზიციიდან, ისევე დაასრულა და თანაც სამასკილომეტრიანი დისტანციაზე ახლოსაც არავინ გაიკარა.

წლეულს ტრადიციად ქცეულ მეორე ადგილზე გასული შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი ესპანელს ორი წამით ჩამორჩა, თუმც ეს რეალური სხვაობა არ გახლავთ, რადგან ფინიშამდე 11 წრით ადრე ჟაკ ვილნევის ავარიის გამო ტრეკზე უსაფრთხოების „მერსედესის“ გამოსვლამ მდევრებთან ალონსოს სოლიდური უპირატესობა მინიმუმამდე დაამცრო.

მიხაელი, რომელიც სტარტზე მეხუთე იდგა, დასაწყისში ჩაფლავდა და ორი ადგილით ჩამოქვეითდა. მაგრამ ჯერ იყო და სტარტზე მეორე ადგილზე მყოფმა, ფიზიკელამ ფალსტარტის გამო ასევე ორი საფეხურით იზარალა, მერე კი თავად შუმიმ იყოჩაღა, ორი პოზიცია აღიდგინა და მესამე გახდა ალონსოსა და კიმი რაიკონენის შემდეგ.

და რბოლაც ალბათ ამავე მიმდევრობით დასრულდებოდა, ვილნევს სახელიანი მამის სახელობის ტრეკზე რომ არ შეშლოდა. ერთი სიტყვით, იმ ბოლო პეისკარობისას „წითელმა ბარონმა“ დრო იხელთა და „ყინულის კაცი“ კიმი შეცდომის მერე უკან ჩამოიტოვა.

24 წლის ალონსომ წლეულს ზედიზედ მეოთხე, ხოლო კარიერაში მე-14 დიდი პრიზი დაისაკუთრა. ასევე მიყოლებით მეხუთედ მოიგო კვალიფიკაცია და შუმისთან 25-ქულიანი აქტივი ესპანელს, უკვე ლამის მეორე გვირგვინს ადგამს.

ეს ნანდოს ზედიზედ მე-15 პოდიუმია და ამ მაჩვენებლით თითქმის წამოეწია მიხაელს, რომელიც 2001-02 წლებში მიყოლებით 19-ჯერ იდგა კვარცხლბეკზე.

ისიც აღსანიშნავია, რომ ალონსო ამჯერად თავის შარშანდელ „ოქროს“ გრაფიკზე უკეთესადაც მიქრის: გასულ წელს ცხრა ეტაპის შემდეგ ოთხი გამარჯვება და 59 ქულა ჰქონდა, ახლა კი უკვე ექვსი დიდი პრიზი დაისაკუთრა და 84 ქულა დაუგროვდა.

გუშინწინდელი გამარჯვება საიუბილეო, მე-100 გახდა „მიშლენის“ საბურავებისთვის. ფრანგების იაპონელ „მტერ“ ბრიჯსტოუნელებს სამით ნაკლები მოგება აქვთ.

და კომენტარი. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ნიკი ლაუდას აზრით, „რენო“ ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე შარშან ამ დროს: „რენო დომინირებს ჩემპიონატში და არა მგონია, რომ მეტოქეთაგან ვინმემ შეძლოს მათთვის სერიოზული კონკურენციის გაწევა. რენოელები ყოველ წრეზე თითქმის ნახევარ წამს იგებენ — ამ ჩამორჩენის ამოსაქაჩად კონკურენტებმა წინ გივანტური ნაბიჯი უნდა გადადგან, „რენო“ კი ადგილზე გაიყინოს. ცხადია, ეს არ მოხდება და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ტიტულს წლეულსაც ფრანგული გუნდი მოიპოვებს.“

რაღა დაგვრჩენია, უნდა დავეთანხმოთ ლეგენდარული ავსტრიელის აზრს, მით უმეტეს, რომ ალონსო შუმახერს უკვე 25 ქულას უგებს და წარმოუდგენელია, ამხელა ფორა გაფლანგოს.

გია ახალაძე



AFP

ეჰ, შუმი, შუმი: ვითომ არ ესმის, არადა, მის რეკორდებს წყალი შეუდგა

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოშერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბარო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00